ახალი განათლება

10 -16 მარტი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№10 (724) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

„ტრენერთა სკოლა“ – ამბიციური განაცხადი ხარისხზე

გვერდი 2

5-კრედიტიანი კურსის პირველი ნაწილი – პრაქტიკოსი მასწავლებლის ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობა

გვერდი 3

წარსულით ცხოვრება არ შეიძლება

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია ნინო ბურდილაძე, კიოლნის უნივერსიტეტის დოქტორანტი

გვერდი 6

პროფესიული განვითარება

„ტრენერთა სკოლა“ – ამბიციური განაცხადი ხარისხზე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის“ ფარგლებში „ტრენერთა სკოლა“ ამოქმედდა, რომელიც კვალიფიციური, სერტიფიცირებული ტრენერების მომზადებასა და გადამზადებას უზრუნველყოფს. სკოლამ უკვე დაიწყო მსურველთა რეგისტრაცია ტრენერთა მომზადების ზოგად კურსზე. თუ რას ითვალისწინებს ზოგადი კურსი და საერთოდ, რამ გამოიწვია ტრენერთა სკოლის ჩამოყალიბების აუცილებლობა და რა არის მისი მიზანი – ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამის მენეჯერი ირინა აბულაძე:

– ცენტრის ინტერესი, ზოგადად, მაღალკვალიფიციურ ტრენერებთან თანამშრომლობაა, თუმცა, არა მხოლოდ ჩვენს ცენტრს, ზოგადად სფეროს სჭირდება მაღალკვალიფიციური ტრენერები, ამიტომაც დღის წესრიგში დადგა „ტრენერთა სკოლის“ ჩამოყალიბების თემა. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი ნამდვილად არ არის ორიენტირებული იმაზე, რომ მხოლოდ თავად იყოს ქვეყანაში მსურველთათვის ტრენინგის შემთავაზებელი, ჩვენი როლი ამაშიც გამოიკვეთა – სხვა ტრენინგ-პროვაიდერებს დავეხმაროთ მომზადებული ტრენერების შეთავაზებით, ჩვენ მიერ მომზადებული ადამიანური რესურსი მათთვისაც ხელმისაწვდომი გავხადოთ. ჩვენი საბოლოო მიზანია, არსებობდეს რაც შეიძლება მეტი რესურსი, რომელიც იმუშავებს მასწავლებლების, დირექტორებისა და სკოლაში დასაქმებული კადრების პროფესიულ განვითარებაზე. ამიტომ, ამ დიდ მიზანთან რომ მივიდეთ, რაც შეიძლება მეტი მაღალკვალიფიციური კადრი უნდა გვყავდეს როგორც თბილისში, ისე რეგიონში.

შევიმუშავეთ „ტრენერთა სკოლის“ კონცეფცია, რომელიც გულისხმობს როგორც ახალი ტრენერების მომზადებას, ისე უკვე არსებული ტრენერების გადამზადებას და მათ პროფესიულ განვითარებას. ბოლო წლებში, ცენტრს, დაახლოებით, 300 ტრენერთან (შესაძლოა უფრო მეტიც) უთანამშრომლია. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, როგორც გაირკვა, მათ პროფესიული განვითარების შესაძლებლობა არ ჰქონდათ, თუ არ ჩავთვლით მათ მომზადებას კონკრეტულ მოდულში. ტრენერთა მომზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის ასეთი გრძელვადიანი ხედვა აქამდე არ არსებობდა.

– როგორ უნდა გახდე ტრენერი – ვინ შეიძლება დარეგისტრირდეს და რა კრიტერიუმებით შეირჩევიან მსურველები?

– კურსი განსაზღვრულია იმ პირებისთვის, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ან აქვთ 2 წელზე ნაკლები ტრენერობის გამოცდილება. იმისათვის, რომ მსურველმა კურსი გაიაროს, მინიმუმ, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი უნდა ჰქონდეს, ასევე სწავლების გამოცდილება ან ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციის მართვის გამოცდილება, ან სკოლის დირექტორის სერტიფიკატი. პრიორიტეტი მიენიჭება პირებს, რომლებიც აკადემიურ ხარისხს განათლების, ჰუმანიტარულ (ინგლისური), სოციალურ (ფსიქოლოგია) ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ფლობენ.

კურსის გავლის მსურველები შერჩევის ორეტაპიან პროცესს გაივლიან:

პირველ ეტაპზე, დაინტერესებული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გაივლის ონლაინ რეგისტრაციას, ხოლო მეორე ეტაპზე, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის შემდეგ, კანდიდატი დაიშვება ჯგუფურ ან ინდივიდუალურ გასაუბრებაზე, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ, ტრენერის მომზადების ზოგად კურსში ჩაერთვება.

ისევე როგორც ჩვენთვის, ყველა მსგავსი ტიპის ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს, რომელსაც ტრენინგზე უშვებს, ცოდნის გადაცემის კომპეტენცია და უნარი ჰქონდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მთლიანად გვინდა მოვიცვათ მასწავლებელთა 65-ათასიანი არმია, ყველა სკოლის დირექტორი და ა.შ., ამ უნარების მქონე ბევრი ტრენერი დაგვჭირდება, რომლებიც, შესაძლოა, არა მაინცდამაინც ამ ცენტრში, არამედ ნებისმიერ ადგილას დასაქმდნენ ან ამ ტიპის საქმიანობას ეწეოდენ, როგორც კოლეგები. აქცენტს სწორედ იმაზე ვაკეთებთ, რომ პროფესიული განვითარება ურთიერთთანამშრომლობით გახდეს უფრო მიმზიდველი და არა მხოლოდ ფორმალიზებული მეთოდებით. ამიტომ, ადამიანები, რომლებსაც ახლა მოვამზადებთ, ვფიქრობთ, მომავალში არა მხოლოდ ჩვენს ცენტრთან, არამედ ნებისმიერ პროვაიდერთან ითანამშრომლებენ. შესაძლოა, ისინი სკოლის წიაღში დასაქმებული ადამიანები იყვნენ – მასწავლებლები, მაგრამ ტრენერობის უნარ-ჩვევებით, ან კარგი ფასილიტატორები, ან კარგი დირექტორები, ასევე ტრენერობის კომპეტენციებით, მათთვის ეს უნარ-ჩვევები კიდევ უფრო საჭირო და აუცილებელია.

– უფრო კონკრეტულად რას ითვალისწინებს ტრენერების მომზადების კურსის პირველი ეტაპი და რა მოდულებისგან შედგება?

– კურსი ითვალისწინებს ტრენერთა კომპეტენციების ჩარჩოთი განსაზღვრული ცოდნის გადაცემას, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რომლებიც აუცილებელია ხარისხიანი ტრენინგის დაგეგმვისა და ჩატარებისთვის.

კურსი სამი მოდულისგან შედგება: ზრდასრულთა სწავლების პრინციპები; ეფექტური კომუნიკაცია და ჯგუფის დინამიკა; მოდულის დაგეგმვა, შეფასება და განვითარება. მონაწილეები სერტიფიკატს მიიღებენ კურსის დასრულებისა და შეფასების პროცესის წარმატებით გავლის შემთხვევაში.

საერთო ჯამში, კურსი, დაახლოებით, 80-საათიანია – საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობით, თან ახლავს საკითხავი მასალაც. ტრენინგები იმის გათვალისწინებით დაიგეგმება, რომ ტრენერობის მსურველებს ძირითად საქმიანობაში ხელი არ შეეშალოთ.

პირველ ეტაპზე, რეგისტრაცია თბილისში, ბათუმში, თელავში, ზუგდიდსა და რუსთავში დაიწყება – რასაკვირველია, თუკი ამის ინტერესი იქნა. მსურველს შეუძლია შევიდეს სარეგისტრაციო გვერდზე და ჩამოთვლილი ქალაქებიდან მისთვის სასურველი ადგილი მიუთითოს, სად სურს ტრენინგის გავლა. იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ ქალაქში რეგისტრაციის მსურველთა საკმაო რაოდენობა დაგროვდება, ტრენინგი ადგილობრივად ჩატარდება.

ჩვენი გაცხადებული პრიორიტეტია – ადამიანური რესურსების განვითარება რეგიონულად, ადგილზე განხორციელდეს. არანაირად არ გვაქვს იმის ინტერესი, რომ მუდმივად თბილისში იყოს მობილიზებული ისეთი კადრი, რომელიც წავა და ტრენინგებს ჩაატარებს რეგიონებისთვის. ის ადამიანები, რომლებიც ამ კურსებს გაივლიან და ტრენერის უნარ-ჩვევებს შეიძენენ, თავისივე რეგიონის რესურსცენტრების, უმაღლესი სასწავლებლების თუ სხვა დაწესებულებების თანამშრომლები იქნებიან, შესაბამისად, ისევ თავიანთ რეგიონებში იმუშავებენ ფორმალიზებული თუ არაფორმალიზებული გზით, როგორც ოფიციალურად დასაქმებული ტრენერები ან, თავიანთი საქმიანობის ფარგლებში, ტრენერების უნარებით.

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, გავზარდოთ რეგიონული დაფარვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტი ადამიანური რესურსი განვავითაროთ რეგიონში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ზოგადად სერვისის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს – უფრო სწრაფი, უფრო ეფექტური, ნაკლები ხარჯით. რაც უფრო მეტ ინვესტიციას ჩავდებთ ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, მით მეტი ამონაგები გვექნება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ეკონომიკური განვითარების კუთხითაც.

– ტრენერთა სკოლის ამოქმედება ათასწლეულის ფონდის მიერ დაფინანსებულ ახალ პროექტს უკავშირდება, რომელიც სკოლის დირექტორთა და STEM დარგების მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას გულისხმობს. „ტრენერთა სკოლაც“ ამავე პროგრამის ფარგლებში ფინანსდება?

– ტრენერთა სკოლის კონცეფცია შემუშავებული მანამდეც გვქონდა, მაგრამ მის უფრო სწრაფად განხორციელებას ხელი შეუწყო ახალმა პროექტმა – „სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამამ“, რომელიც ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ფინანსური მხარდაჭერით და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საქართველოსთან თანამშრომლობით ხორციელდება. ამ პროექტის ფარგლებში, მოიაზრება, 2019 წლამდე, VII-XII კლასების მასწავლებლების STEM დარგების მიმართულებით გადამზადება და ასევე – ყველა საჯარო სკოლის დირექტორისა და თითო ფასილიტატორის. გადამზადებაში ვგულისხმობთ არა მხოლოდ ტრენინგებს, არამედ გრძელვადიან კურსს, რომელიც შედგება: კონკრეტულად ტრენინგისგან, მასალების მიწოდებისგან, ასევე, სხვადასხვა სასწავლო შეხვედრებისგან (ჯგუფებში თემატიკის განხილვა). ბევრი კომპონენტი და საშუალებაა, რომ, საბოლოო ჯამში, მომზადებული კადრები მივიღოთ. დირექტორების შემთხვევაში, ეს არის ლიდერობის აკადემიები როგორც თბილისში, ისე რეგიონულად; მასწავლებლების შემთხვევაში კი – რამდენიმესაფეხურიანი მომზადება როგორც ტრენინგით, ისე სხვადასხვა საშუალებებით. შესაბამისად, ვინაიდან დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ პროფესიული განვითარების გრძელვადიანი კურსები, რომელსაც უცხოელ კოლეგებთან ერთად შევიმუშავებთ, მაღალხარისხიანი და კარგი ეფექტის მომტანი იქნება, მნიშვნელოვანია, გვყავდეს კარგი ტრენერები, რომლებიც ფასილიტაციას გაუწევენ ან წარუძღვებიან ადგილებზე ტრენინგებს. ამიტომაც, სავსებით ლოგიკურად, ამ პროგრამამ ტრენერთა მომზადებისა და გადამზადების კომპონენტი აიღო. აქედან გამომდინარე, მოსამზადებელ კურსზე შერჩეული კანდიდატების დაფინანსებას „ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა“ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი“ უზრუნველყოფს.

რეალურად, ტრენერთა სკოლის კონცეფციის განხორციელების შესაძლებლობა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ ფინანსურმა მხარდაჭერამ მოგვცა და შეიძლება ითქვას, რომ ტრენერთა სკოლა სწორედ ამ კონკრეტული პროექტის მხარდაჭერით და მისივე მიზნებისთვის ავამოქმედეთ. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ამ პროცესების საკმაოდ სტრუქტურიზებული მონიტორინგი გვექნება და რეალურად მოდელსაც გამოვცდით, მომავალში, ცენტრი მოიაზრებს, რომ ტრენერები, რომლებიც ხარისხობრივ შეფასებას გაივლიან, პრიორიტეტულად გამოვიყენოთ ცენტრის მიერ განხორციელებულ სხვა ტრენინგებშიც. ადამიანები, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში გაივლიან სერტიფიცირებას, მხოლოდ ამ პროექტისთვის არ იმუშავებენ. ეს დამატებითი შესაძლებლობაა ცენტრისთვისაც, ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აიწიოს, ტრენინგების მიწოდების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, საკმაოდ ამბიციური განაცხადია, როცა ვამბობთ, გარდა იმისა, რომ, საქართველოს მასშტაბით, მოვამზადებთ 20 ათას მასწავლებელს, ყველა საჯარო სკოლის დირექტორსა და თითო ფასილიტატორს, პლუს გვეყოლება რამდენიმე ასეული მაღალკვალიფიციური ტრენერი. საბოლოო ჯამში, ძალიან შთამბეჭდავ სურათს ველით, განსაკუთრებით რეგიონების კუთხით, რადგან ვვარაუდობთ, რომ ტრენერთა მომზადებისა და გადამზადების საერთო მონაცემებში, მინიმუმ, 30 პროცენტი რეგიონული დაფარვა იქნება.

– იმ შემთხვევაში, თუ ტრენერობის მსურველი მომზადების შემდეგ ეტაპზე გადასვლას არ ისურვებს, მიენიჭება თუ არა ტრენერის წოდება?

– ტრენერთა მომზადების შემდეგი ეტაპი იმ კონკრეტული მიმართულების მიხედვით განხორციელდება, რომლის ჩატარებაც პროექტის ფარგლებში მოუწევთ. ადამიანს, რომელიც მეორე ეტაპზე გადასვლის სურვილს არ გამოთქვამს, სერტიფიკატით დავუდასტურებთ პირველი ეტაპის ტრენერობას, რადგან ამ კურსის გავლის შემდეგ, მას უკვე ექნება ზოგადი კომპეტენციები – ზრდასრულთა სწავლების მეთოდები, კომუნიკაციის, ჯგუფის მართვისა და ტრენინგის დაგეგმვის უნარები. ხოლო მეორე ეტაპის გავლის შემდეგ, ტრენერი კონკრეტულად დირექტორთა და მასწავლებელთა გადასამზადებლად იქნება სპეციალიზებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ასეთი ფორმულირება მივცეთ – პირველი ეტაპი მოამზადებს ზოგად ტრენერს, ხოლო მეორე ეტაპი – ზოგადი განათლების ტრენერს.

– „ტრენერთა სკოლის“ ამოქმედება კონკრეტული პროგრამის ფარგლებში დაიწყო. თუმცა, რეალურად, როგორც ირკვევა, პროექტის დასრულების შემდეგაც, მომზადების კურსი მრავალმხრივ შესაძლებლობებს მისცემს ცენტრს...

– დიახ, მომზადების კურსი, პროგრამის დასრულების შემდეგაც, ცენტრს აძლევს საშუალებას, ზოგადი განათლების ტრენერებად სერტიფიცირებული ადამიანები ჰყავდეს, რადგან კურსი, რომელსაც ტრენერები მომზადებისას გაივლიან, მთლიანად დაფარავს იმ ძირითად ბლოკს, რაც უნდა იცოდეს მასწავლებლის და დირექტორის ტრენერმა. ნებისმიერ შემთხვევაში, რა პროგრამის ფარგლებშიც უნდა ჩატარდეს ტრენინგი, საბოლოო ჯამში, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, ეს მოდელი შემდგომშიც ვამუშაოთ. რაც მთავარია, შევძლებთ დავსვათ ხარისხის ნიშანი და ვთქვათ, რომ ტრენერებს გავლილი აქვთ არა მხოლოდ შერჩევის კონკურსი, არამედ რამდენიმე ეტაპიანი შერჩევა-გადამზადება და გვყავს მაღალი ხარისხისა და კვალიფიკაციის ტრენერები. შესაბამისად, შეგვიძლია ჩავატაროთ ასეთივე მაღალი ხარისხის ტრენინგები, მიუხედავად ადგილისა, იქნება ეს თელავში, ბათუმსა თუ თბილისში. უნდა ამოქმედდეს საერთო

პროფესიული განვითარება

სტანდარტი და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მოთხოვნები, რომლებიც ხანდახან გვესმის მასწავლებლების მხრიდან – „მაინცდამაინც ის კონკრეტული ტრენერი გამოგვიგზავნეთ“ – აღარ იქნება. საბოლოო ჯამში, ყველას უნდა ჰქონდეს განცდა (მიუხედავად იმისა, რომელ რეგიონში და რომელ სკოლაში ასწავლის), რომ თანაბარხარისხიან სერვისს მიიღებს ნებისმიერი პროვაიდერისგან და არა მხოლოდ ცენტრისგან. ეს სისტემური მიდგომის განხორციელების პირველი მცდელობაა, ასეთი შეთავაზება ჯერ არც ერთი სტრუქტურის დონეზე არ ყოფილა.

შემდეგ, მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებზე ვიმუშავებთ. რასაკვირველია, არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ორი-სამი კურსის შემდეგ, ყველა ტრენერი ერთ დონეზე მომზადებული გვეყოლება, რადგან თავად მათ შორისაც იქნება განსხვავება – ზოგს მეტი გამოცდილება აქვს, ზოგს – ნაკლები, ნაწილი საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელია და ა.შ. მონიტორინგი მოგვცემს საშუალებას, ვნახოთ მათი პროფესიული განვითარების სუსტი და ძლიერი მხარეები და ამის მიხედვით ვიზრუნოთ წერტილოვან განვითარებაზე. საბოლოოდ, ამით სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის რაც შეიძლება მაღალი ხარისხის სერვისის მინოდებას უზრუნველვყოფთ.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ იგეგმება რეგიონებში „მასწავლებელთა სახლების“ გახსნა და, ვფიქრობთ, ამით კიდევ მეტად შევუწყობთ ხელს რეგიონულ განვითარებას. ეს ცენტრები პროფესიული განვითარების კერებად უნდა იქცეს. იქ მისულ მასწავლებელს თუ დირექტორს უნდა დახვდეს ჩამონათვალი – ვინ რა ტრენინგს სთავაზობს და არჩევანი თავად გააკეთოს ისე, რომ ხარისხში ეჭვი არ შეეპაროს. ისეთი გარემო უნდა შეიქმნას, რომ აღარ ჰქონდეთ განცდა – „რადგან თბილისში არ ვარ, ამით რაღაცას ვაკლდები“. ამდენად, რეგიონული განვითარებისთვის ამ ცენტრების გაჩენაც და ადამიანური რესურსის განვითარებაც უმნიშვნელოვანესია. ამიტომ, თავისი შესაძლებლობების განვითარებისთვის, ცენტრმა ისარგებლა ათასწლეულის ფონდის მხარდაჭერით და დავიწყეთ ადამიანური რესურსის განვითარება, გზადაგზა კიდევ გამოჩნდება სხვა საჭიროებები.

– როდის გამოაცხადებს „ტრენერთა სკოლა“ რეგისტრაციას იმ პირებისთვის, რომლებსაც ტრენერობის 2 წელზე მეტი გამოცდილება აქვთ და იქნება თუ არა მათი მოდულები განსხვავებული?

– განსხვავება ამ ორი ჯუგუფის მომზადებაში, რასაკვირველია, იქნება. დამწყებთათვის, როგორც გითხარით, უფრო გრძელვადიანი კურსი იქნება შეთავაზებული, ხოლო ორ წელზე მეტი გამოცდილების მქონე ტრენერებს – განსხვავებული ტიპის უფრო მოკლევადიან კურსს შევთავაზებთ, რომელზეც სწორედ ახლა მუშაობს ჩვენი უცხოელი კოლეგა. თავისთავად, მასაც ექნება თავისი სპეციფიკაცია და შეფასების მეთოდები, რომლითაც განვსაზღვრავთ, რამდენად არის მზად ესა თუ ის ტრენერი – ემთხვევა თუ არა მისი ღირებულებები ჩვენსას. პირველ რიგში, გამოიცდება, რამდენად აქვთ გააზრებული მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. შემდეგ განხორციელდება მონიტორინგი, როგორ ატარებენ ტრენინგებს, მონაწილეთაგან გვექნება უკუკავშირი.

რაც შეეხება მოდულებს, ამაზე უცხოელ ექსპერტთან ერთად ვმუშაობთ, თვის ბოლოს იგეგმება დასრულებაც და პილოტირებაც. 2 წელზე მეტი გამოცდილების მქონე ტრენერებისთვის, მარტის ბოლოს, ვგეგმავთ რეგისტრაციის გამოცხადებას.

– ისმის კრიტიკა, რომ, ტრენინგების მიმართულებით, ცენტრი კვლავ აპირებს მონოპოლიის ხელში აღებას, რას უპასუხებთ ამ ბრალდებას?

– ვფიქრობთ, ამ ადამიანების მომზადებითა თუ გადამზადებით, ჩვენ ბაზარს შევმატებთ დამატებით ადამიანურ რესურსს, რომლის გამოყენებასაც ისევე შეძლებენ სხვა პროვაიდერები, როგორც ცენტრი. ვთანამშრომლობთ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან, რომ დაიწყოს გარე პროვაიდერების აკრედიტაცია, ჩვენი ცენტრის გარდა, სხვამაც რომ შეძლოს ტრენინგების ჩატარება. ამ ეტაპზე კი, ჩვენ გვჭირდება ადამიანები, რომლებიც თავიანთ კოლეგებს, თანამშრომლებს, ახლობლებს, მეზობლებს და ა.შ. დაეხმარებიან პროფესიულ განვითარებაში, ამიტომ, არც ამის დრო გვაქვს და არც ფუფუნება, დავჯდეთ და ველოდოთ, რომ ამას ვიღაც სხვა გააკეთებს.

– დაბოლოს, ვინ იქნებიან „ტრენერთა სკოლის“ ტრენერები, ვის ანდეთ კვალიფიციური ტრენერების მომზადება?

– ზოგადი მომზადების კურსის ტრენერების ნაწილი შერჩეულია, გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე. მეორე ეტაპის ტრენინგებს კი ქართველი და უცხოელი ექსპერტები გაუძღვებიან.

მათ გაიარეს გადარჩევა – სასიგნალო ტრენინგები ჩაატარეს და შეფასდნენ. ბუნებრივია, ერთნაირი შედეგები არ გვაქვს, რამდენიმე კანდიდატმა უფრო მაღალი ხარისხი აჩვენა, ვიდრე დანარჩენებმა. შესაბამისად, ახლა ტრენინგების ჩატარებას სწორედ იმდენ წერტილში დავიწყებთ, რამდენშიც დარწმუნებული ვართ ტრენერთა მაღალკვალიფიციურობაში. ის ადამიანები კი, რომლებზეც ვფიქრობთ, რომ აკმაყოფილებენ ჩვენს სტანდარტს, მაგრამ მაინც სჭირდებათ გარკვეული მიმართულებით გაძლიერება, შემდეგ ჯგუფებს შეუერთდებიან.

ასე რომ, ჩვენ არ ვართ ორიენტირებული რაოდენობაზე. უმჯობესია, პირველ ეტაპზე, ნაკლები რაოდენობის ტრენერი მოვამზადოთ, მაგრამ ხარისხიანი. შემდეგ ეტაპზე კიდევ რამდენიმე ჯგუფს დავამატებთ. პრინციპში, ყველა რისკი გათვალისწინებულია, პირველ კურსს შერჩეული გუნდიდან საუკეთესოებს ვანდობთ, პარალელურ რეჟიმში კი, დანარჩენებთან, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად, გავაგრძელებთ მუშაობას, რომ შემდეგ ეტაპზე ისინიც უხარვეზოდ ჩაერთონ.

5-კრედიტიანი კურსის პირველი ნაწილი – ზოგადი დიდაქტიკის კურსი

პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითრების კურსზე რეგისტრაცია გამოცხადდა. კურსის გავლა ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. ვისთვის არის განკუთვნილი პროფესიული განვითრების 5-კრედიტიანი კურსის პირველი ნაწილი და რა მოდულებს გაივლიან მასწავლებლები – ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი ***სოფიკო ლობჟანიძე:***

– პროფესიული განვითარების 5-კრედიტიანი კურსის პირველი ნაწილის გავლის მსურველებისთვის რეგისტრაცია უკვე გამოცხადდა, უფრო კონკრეტულად ვისთვის არის განკუთვნილი ეს კურსი და რამდენ კრედიტს მოუტანს ის პრაქტიკოს მასწავლებელს?

– მოგეხსენებათ, რომ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით, თითოეული სტატუსის მქონე მასწავლებლისთვის, განსაზღვრულია სავალდებულო და დამატებითი აქტივობები. პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა პროფესიულ უნარებში ტრენინგ-კურსის გავლა. თავად ეს ტრენინგ-კურსი ორი ნაწილისაგან შედგება, ეს გახლავთ **ზოგადი დიდაქტიკა** და **საგნობრივი მეთოდიკები**. 5-კრედიტიანი ტრენინგ-კურსის პირველი ნაწილის წარმატებით გავლა მასწავლებელს 3 კრედიტს მოუტანს.

მინდა აღვნიშნო, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ტრენინგ-კურსის გავლის წინაპირობას წარმოადგენს საგნის გამოცდის ჩაბარება. ანუ, იმ მასწავლებლებს, რომელთაც საგნობრივი გამოცდა წარმატებით აქვთ დაძლეული, უფლება აქვთ, დარეგისტრირდნენ გამოცხადებულ ტრენინგზე.

– ერთდროულად რამდენ მასწავლებელს შეუძლია დარეგისტრირება და სად ჩატარდება ტრენინგები?

– რეგისტრაცია გამოცხადდება მთელი წლის განმავლობაში, ყოველი თვის პირველ ნახევარში. ამ პერიოდში დარეგისტრირების მსურველთა რაოდენობა არ იქნება შეზღუდული. თვის მეორე ნახევარში კი ჯგუფები რეგიონების მიხედვით დაკომპლექტდება და ტრენინგები ადგილებზე დაიწყება.

– საინტერესოა ტრენინგების ხანგრძლივობაც – რამდენ ხანს გრძელდება კურსი ან წელიწადში რამდენჯერ გამოცხადდება?

– ტრენინგ-კურსის პირველი ნაწილის, ანუ ზოგადი დიდაქტიკის საკონტაქტო საათების რაოდენობა 52 საათია, ხოლო მეორე ნაწილის, ანუ საგნობრივი მეთოდიკების – 30 საათიდან 40 საათამდე, განსხვავებული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით.

– რას მოიცავს ტრენინგების ციკლის პირველი ნაწილი და კონკრეტულად რა მოდულებისგან შედგება? უფრო ვრცლად რომ გაგვაცნოთ მოდულები...

– ტრენინგ-კურსის პირველი ნაწილი, ანუ ზოგადი დიდაქტიკის კურსი შედგება ორი მოდულისაგან: თანამედროვე მიდგომები სწავლებასა და შეფასებაში და ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები. პირველ მოდულში განხილული იქნება: როგორ დაგეგმოს და წარმართოს მასწავლებელმა მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი; როგორ გამოიყენოს პედაგოგიურ პრაქტიკაში კონსტრუქტივისტული მიდგომა; მიზნის შესაბამისად როგორ შეარჩიოს სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები; როგორ აქციოს უკუკავშირი სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად; როგორ შექმნას შეფასების სქემები, როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგები მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის და ა.შ. როგორ გააანალიზოს და გამოიყენოს შეფასების შედეგები მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისა და საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით და ა.შ.

მეორე მოდულის ფარგლებში მსმენელები გააცნობიერებენ უნივერსალური სასწავლო გარემოს შექმნის მნიშვნელობას ყველა მოსწავლის წარმატებისთვის და გამოიმუშავებენ განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეთა კლასში სწავლების უნარ-ჩვევებს. რაც მთავარია, 5-კრედიტიანი კურსი არ იქნება აგებული მხოლოდ თეორიული მასალის მინოდებაზე, ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება, თუ როგორ შეძლებს მსმენელი ტრენინგზე მიღებული გამოცდილების გადატანას სასწავლო პროცესში.

– როგორ გადავა მასწავლებელი შემდეგ ეტაპზე? რას გულისხმობს 5-კრედიტიანი ციკლის შემდეგი ეტაპი და რას მოიცავს მეორე კურსი?

– ტრენინგ-კურსის თითოეულ მოდულს აქვს შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, მაშასადამე მასწავლებელი ფასდება იმ კომპონენტების მიხედვით, რომელიც თითოეული მოდულითაა გათვალისწინებული. თუ ამ კომპონენტების შეფასების ჯამური რაოდენობა, 100-ბალიანი შეფასების სისტემაში, იქნება 60 ქულიდან, ჩაითვლება, რომ მსმენელმა მოდული წარმატებით დაძლია და მას ექნება უფლება დარეგისტრირდეს შემდეგ ეტაპზე. ტრენინგ-კურსის ფარგლებში, შეფასების ისეთი კომპონენტებია შერჩეული, რომელთა საშუალებითაც ფასდება, როგორ მოახდინა მასწავლებელმა ტრენინგზე მიღებული ცოდნის ტრანსფერი გაკვეთილზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრენინგ-კურსის მეორე ეტაპი მოიცავს საგნობრივი მეთოდიკების ნაწილს.

– იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ვერ შეძლებს პირველივე ჯერზე ამ კურსის წარმატებით გავლას აქვს თუ არა უფლება შემდეგ გამოცხადებაზე ისევ სცადოს დარეგისტრირება?

– პრაქტიკოს მასწავლებელს, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შესაბამისი გამოცდით, ტრენინგ-კურსის წარუმატებლად გავლის შემთხვევაში, უფლება აქვს განმეორებით დარეგისტრირდეს კურსზე, თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის 5-კრედიტიანი კურსის დაფინანსება გათვალისწინებულია ერთჯერადად.

– რეალურად, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ეს არის პირველი სავალდებულო აქტივობა, რომლის განხორციელებაც მას სქემის ფარგლებში უწევს. როგორია თქვენი მოლოდინი, პირველივე ჯერზე ბევრ მასწავლებელს ელოდებით?

– დღეისათვის ჩვენ გვყავს, დაახლოებით, 4000 მასწავლებელი, ვისაც ჩაბარებული აქვს საგნობრივი გამოცდა და აქვთ ტრენინგ-კურსის გავლის უფლება. ძნელია იმის განსაზღვრა, რამდენი მასწავლებელი დარეგისტრირდება პირველ ეტაპზე. მათ ხომ ოთხი წელი აქვთ ვადა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად და მათი სრული უფლებაა, ამ პერიოდის განმავლობაში, საკუთარი შეხედულებისამებრ, გადაანაწილონ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით განსაზღვრული აქტივობები.

რუბრიკა მოამზადა ***ლალი ჯელაძემ***

პედაგოგთა დასახმარებლად

შორენა გამყრელიძე

დაწყებითი განათლება

მომავლისთვის დაგეგმილი შედეგი

როგორც უკვე ცნობილია, მასწავლებელთა ნაწილი საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩაერთო. ამ შრომატევად საქმიანობაში ნამდვილად გვჭირდება ერთმანეთის დახმარება და ვფიქრობ, გამოცდილების გაზიარება ერთ-ერთი კარგი საშუალება იქნება ამისათვის. სქემის საფეხურის ყველა დონის მასწავლებელს უწევს გაკვეთილის ჩატარება, რომელსაც დააკვირდება შიდა (სასკოლო) ან გარე დაკვირვების ჯგუფი, იმის მიხედვით, თუ რომელ საფეხურზეა მასწავლებელი. ამ გაკვეთილებმა უნდა წარმოადგინოს მასწავლებლის ძლიერი მხარეები, მისი პროფესიონალიზმი. ეს რთული საქმეა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც შემფასებლის კრიტიკული თვალი გიყურებს და ამაზეა დამოკიდებული შენი წლობით ნაფერები ავტორიტეტი და ბოლოს და ბოლოს, ხელფასი.

რაც უფრო მეტი გაკვეთილის ნახვის საშუალება გვექნება, მით უფრო ადვილად მივხვდებით, როგორი უნდა იყოს კარგი გაკვეთილი. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს მუდმივად, არ ავცდეთ მიზანს და ყველა მოქმედება, რასაც გაკვეთილზე ვახორციელებთ, ემსახურებოდეს ამ მიზნის მიღწევას.

გიყვარდეთ სტანდარტები – ვეუბნები ხოლმე ჩემს კოლეგებს და ამის მიზეზია:

ის გვკარნახობს: 1. გაკვეთილის მიზანს; 2. გაკვეთილზე განსახორციელებელ აქტივობებს; 3. უნარებს, რომელზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება; 4. შეფასების კრიტერიუმებს; 5. რესურსსაც კი. მაგალითად ავიღოთ ერთ-ერთი სტანდარტი და ინდიკატორი და განვიხილოთ.

ქართ. II. 2. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის სხვადასხვა სახის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• ილუსტრაციების მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;

• გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ (მომწონს/არ მომწონს, კარგად მოიქცა/ცუდად მოიქცა; კეთილია, გონიერია და ა.შ.).

მიზანი	**დააკვირდეს ილუსტრაციას და გამოთქვას ვარაუდი შინაარსის შესახებ, მოისმინოს ტექსტი, გაიგოს და გამოთქვას საკუთარი აზრი, რას ფიქრობს მოცემული პერსონაჟის შესახებ.**
აქტივობა	**როგორც სტანდარტი და ინდიკატორი გვკარნახობს, მასწავლებელმა უნდა მოძებნოს მცირე ზომის ტექსტი ნაცნობ თემატიკაზე, უნდა აჩვენოს მოსწავლეებს ამ ტესქტისთვის შექმნილი რამდენიმე ილუსტრაცია და სთხოვოს, გამოთქვან ვარაუდები ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ. ამის შემდეგ წაუკითხოს ტექსტი, რასაც მოსწავლეები სიამოვნებით უსმენენ, რადგან აინტერესებთ, დაემთხვევა თუ არა მათი ვარაუდი მოცემულ ტექსტს. დაბოლოს, მისცეს საშუალება, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ.**
უნარები	**მოსმენის უნარი, საკუთარი აზრის გამოხატვის უნარი, შეფასების უნარი**
რესურსი	**მცირე ზომის ტექსტი ნაცნობ თემატიკაზე, ილუსტრაციები**
შეფასების კრიტერიუმები	**1. მოსწავლეს შეუძლია ილუსტრაციაზე დაკვირვებით გამოთქვას სავარაუდო შინაარსი 2. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის მოსმენა და გაგება 3. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ტექსტის მიხედვით გამოთქვას საკუთარი აზრი პერსონაჟის შესახებ.**

მოკლედ, როგორც ვხედავთ, ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული და მთავარი, ჩემი აზრით, გაკვეთილის მიზანია, რადგან ის მომავლისთვის დაგეგმილი შედეგია.

შედეგი უნდა აჩვენოს შეფასებამ. მასწავლებელთა ნაწილი ყველაზე რთულად სასწავლო პროცესში შეფასებას მიიჩნევს და მეც ამ ნაწილს ვეკუთვნი. ამიტომ ვცდილობ, ვიყო ობიექტური. ამაში ისევ სტანდარტი მეხმარება. წარმოგიდგენთ შეფასების ცხრილებს, რომელიც შექმნილია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით. დროდადრო ამ ცხრილების შეცვლა, დახვეწა გვიწევს, იმის გათვალისწინებით, თუ როგორი კლასი ჰყავს მასწავლებელს. ეს ფორმები შესაძლოა შეივსოს ინდივიდუალურად, თითოეული მოსწავლისათვის, ასევე, მთელი კლასისთვის, თუ მარტივად ფორმას შევუცვლით. ცხრილში, შესაბამის ადგილზე გაკეთდება აღნიშვნა.

II კლასის მოსწავლე – ნინო მაისურაძე საგანი – ბუნება პედაგოგი – 2015/16 სასწავლო წელი	წარმატებული	კარგი	ცდილობს, საჭიროებს განვითარებას	მოცემული მომენტისთვის არ შეუძლია
მოსწავლეთა ზოგადი, სასწავლო უნარ-ჩვევები				
ყურადღებით ისმენს	*			
სისტემატურად ასრულებს საშინაო დავალებებს	*			
გაკვეთილზე აქტიურია	*			
შეუძლია თანამშრომლობა	*			
მობილიზებული, ორგანიზებული და მონდომებულია	*			
ცოცხალი სამყარო				
1. მოსწავლე აღწერს მცენარის და ცხოველის ძირითად გარეგან ნაწილებს, ამოიცნობს და აღწერს ზრდის პროცესს.	*			
სხეულები და მოვლენები				
2. მოსწავლე აღწერს ადვილად დაკვირვებად მოძრაობებს, განარჩევს სინათლის და სითბოს ბუნებრივ და ხელოვნურ წყაროებს.	*			
დედამიწა და გარესამყარო				
3. მოსწავლე ორიენტირებს ნაცნობ გარემოში.	*			
4. მოსწავლე ახასიათებს მზეს, დედამიწას და მთვარეს, აკვირდება და აღწერს ამინდის კომპონენტებს.	*			
5. მოსწავლე ამოიცნობს და განასხვავებს ლოკალურ გარემოს გეოგრაფიულ ობიექტებს.	*			
ადამიანი და გარემო				
6. მოსწავლე იცავს პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხო ქცევის წესებს.	*			
7. მოსწავლე აღწერს მცენარეებისა და ცხოველების მნიშვნელობას ადამიანებისათვის.	*			

კლასი ..... **საგანი** .....

პედაგოგი ..... **თარიღი** .....

№	სია	მოსწავლეთა ზოგადი, სასწავლო უნარ-ჩვევები	ყურადღებით ისმენს	სისტემატურად ასრულებს საშინაო დავალებებს	დ. ა.შ.												
1			წ	კ													
2																	
3																	
4																	
5																	

მონიშვნების გამოყენებით

წარმატებული	**წ**
კარგი	**კ**
საჭიროებს განვითარებას	**ს/გ**
მოცემული მომენტისთვის არ შეუძლია	**ა/შ**

როგორც ჩვენთვის ცნობილია, გაკვეთილის გეგმას უნდა ახლდეს მოსწავლეთა შეფასების სქემა, მასწავლებლის გაკვეთილის თვითშეფასების სქემა. გთავაზობთ გაკვეთილის სცენარს ამ სქემებთან ერთად.

III კლასი

საგანი: მშობლიური ენა და ლიტერატურა

გაკვეთილის მიზანი: კითხვის ტექნიკაზე ვარჯიში – ხმამაღლა კითხვა, წერის უნარ-ჩვევების დახვეწა – მიზნობრივი ტექსტის შექმნა, დისკუსიის შედეგად აზრის ჩამოყალიბება.

გამოყენებული აქტივობები: გონებრივი იერიში, 5-წუთიანი წერა, თამაში „მიკროფონი“,

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური

დრო: 45 წუთი

რესურსები: ფორმატი, თაბახის ფურცელი, სხვადასხვა თამაშის ამსახველი სურათები (ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, ჩოგბურთი).

გაკვეთილის აღწერა

<u>I ნაწილი</u>

1. ვთხოვ მოსწავლეებს, ჩამოთვალონ თამაშები, რომლებიც მათ იციან. ჩამოთვლილ თამაშებს ვწერ დაფაზე და თან ვაკრავ რამდენიმე თამაშის ილუსტრაციას (ფეხბურთი, კალათბურთი...).



2. შემდეგ ვაკეთებთ გამოკვლევას, ჩამოთვლილთაგან ვის რომელი თამაში უყვარს ყველაზე მეტად. მე ვასახელებ თამაშს და მოსწავლეები ხელის აწევით ხმას აძლევენ თავის საყვარელ თამაშს. თამაშის სახელს, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ვაწერ თაბახის ფურცლებზე. ვურიგებ ჯგუფებს და ვაძლევ **ინსტრუქციას:** *გაიხსენეთ და ჩამოწერეთ ამ თამაშის თქვენთვის ნაცნობი წესები.*

3. პრეზენტაცია

პრეზენტაციის წინ დაფაზე ვაკრავ ფორმატს, სადაც წერია იმავე თამაშის სახელი, რომლის წესებსაც ბავშვები წერენ. პრეზენტაციის დროს ჯგუფების მიერ ჩამოყალიბებული წესები თანდათან ამ ფორმატზე გადამაქვს. ეს პროცესი ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასწავლებელი მოსწავლეთა თვალწინ ახდენს აზრის დალაგებას, კორექტირებას და ფურცელზე გადატანას, ამით ის აჩვენებს წერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს.

ჩვენ უკვე ფორმატზე გვაქვს ერთ-ერთი თამაშის, მაგალითად, ფეხბურთის თამაში წესები.

დრო – 10 წუთი

პედაგოგთა დასახმარებლად

II ნაწილი

1. ვაძლევ ასეთ დავალებას – **ინსტრუქცია:** *მოიფიქრეთ შემდეგ კითხვაზე პასუხი – წარმოიდგინეთ, რომ არ არსებობდეს წესები ფეხბურთისათვის, რა მოხდებოდა მაშინ?*

მოილაპარაკეთ ჯგუფებში და 1წთ-ის შემდეგ წარმოადგინეთ თქვენი აზრი ზეპირად.

1 წუთის შემდეგ მოსწავლეები, ჯგუფების მიხედვით, ახდენენ ჩამოყალიბებული აზრის პრეზენტაციას.

დრო – 5 წუთი

III ნაწილი

1. გადავდივართ ტექსტზე. შემდეგი ინსტრუქცია ასეთია: *მოდით, ახლა ყურადღებით წავიკითხოთ ნ. ჩაჩავას მოთხრობა „ვისია ცხენი“, რის შემდეგაც თქვენ მოგიწევთ რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა. ვურიგებ ტექსტს ინდივიდუალურად.*

ნ. ჩაჩავა „ვისია ცხენი“

ლაშას, ზაზას და კახას მამამ ერთი ცხენი მოუტანა.

– ეს ცხენი სამივესია, – უთხრა მამამ ბავშვებს, – აბა, თქვენ იცით, როგორ მოუვლით, არ წაიჩხუბოთ, ერთად ითამაშეთ!

ლამაზი ცხენი იყო, კუდიც ჰქონდა, ფაფარიც, აღვირიც და უზანგებიც. ბავშვებს ძალიან გაუხარდათ. სამივენი მისცვივდნენ ცხენს, ჯერ ფერება დაუწყეს, შემდეგ გაატარ-გამოატარეს.

ბოლოს ზაზამ ვერ მოითმინა და ცხენს შემოახტა. კახა და ლაშა ეხმარებოდნენ ძმას ცხენის ტარებაში.

ზაზას ისე გაუტკბა ცხენზე ჯდომა, რომ აღარ ფიქრობდა ჩამოსვლას.

– ახლა ჩვენ შეგვსვი, ცხენი მარტო შენი ხომ არ არის? – უთხრეს ძმებმა.

– მამამ მე მომიტანა, – მიუგო ზაზამ.

– მამამ გვითხრა სამივესიაო, – ერთხმად შეუტიეს ბიჭებმა.

ზაზა მაინც თავისას გაიძახოდა, ძმებს არ უთმობდა. მერე ცხენის წაღება მოინდომა, მაგრამ კახამ და ლაშამ არ დაანებეს. გასწი-გამოსწიეს ცხენი – ხან ერთი ეწეოდა თავისკენ, ხან – მეორე და ხან – მესამე.

ამ გაწევ-გამოწევაში ცხენი დაიშალა. კახას ორი ფეხი შერჩა ხელში, ლაშას – აღვირი, ზაზას – მარტო კუდი, ცხენის ტანი კი იატაკზე დავარდა და დაიბზარა.

ზაზა ტირილით დასჩერებოდა დავარდნილ, დასახიჩრებულ ცხენს.

ახლა ცხენი არც ზაზასია, არც – კახასი და აღარც – ლაშასი, კუთხეში გდია და ახლოს არავინ ეკარება.

ტექსტს კითხულობენ ჩვეული წესით – უცნობ სიტყვებს შემოხაზავენ და ამოწერენ ლექსიკონში. კითხვის დასრულების შემდეგ მიმდინარეობს უცხო სიტყვებისა და ფრაზების განმარტება და ჩაწერა.

დრო – 10 წუთი

IV ნაწილი

თამაში „მიკროფონი“

ტექსტის წაკითხვისა და ლექსიკაზე მუშაობის შემდეგ ვახსენებ მიკროფონით თამაშის წესებს.

1. ერთი საუბრობს, დანარჩენები უსმენენ!
2. საუბრისთვის ნებართვას ვიღებთ ხელის აწევით!
3. იცოდეთ, ისმის მხოლოდ მისი ხმა, ვინც მიკროფონით საუბრობს!
4. იცოდეთ, ვინც წესს დაარღვევს, 2 წუთი ეთიშება თამაშს!

(მიკროფონი იმიტაციაა, რომელიც ბავშვებმა ჯოხით, ნაჭრებითა და წებოვანი ლენტით გააკეთეს).

კითხვები თამაშისათვის

1. რატომ იჩხუბეს ბიჭებმა?
2. როგორები არიან ისინი?
3. რა შედეგი მოჰყვა ჩხუბს?
4. როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ასე?
5. რას ურჩევდით ძმებს?
6. თქვენ როგორ თამაშობთ მეგობრებთან, წესებით თუ წესების გარეშე?

დრო – 10 წუთი

V ნაწილი

5-წუთიანი წერა (ინდივიდუალურად)

თამაშის დასრულების შემდეგ ვაძლევ **ინსტრუქციას –** *მოიფიქრეთ და ჩამოწერეთ წესები, რომლის შესრულებისას ბიჭები არ იჩხუბებდნენ.*

დრო – 5 წუთი

5 წუთის შემდეგ დავალებას ვკითხულობთ შერჩევით.

P.S. როცა მოსწავლეები ინდივიდუალურ ნამუშევრებს კითხულობენ, დანარჩენებს ვთხოვ, ყურადღებით მოუსმინონ პრეზენტატორს და ვისაც მის მსგავსად უწერია, ხელის აწევით მანიშნონ. ვკითხულობთ მხოლოდ განსხვავებულ აზრს. ამით თავიდან ავიცილებ ერთი და იმავეს გამეორებას და იმ უსიამოვნებას, რასაც დანარჩენ მოსწავლეთა ნამუშევრების წაუკითხაობა იწვევს.

დრო – 5 წუთი

საშინაო დავალება

ჩემს მოსწავლეებს ყველაზე მეტად ჩხუბი ეზოში, საქანელაზე თამაშისას მოსდით. ამიტომ შევარჩიე ასეთი დავალება:

მოიფიქრეთ ეზოში, საქანელაზე თამაშის წესები იმისათვის, რომ არ იჩხუბოთ.

სტანდარტები, რომელზეც დაგეგმილია ეს გაკვეთილი

მშობლიური ენა და ლიტერატურა

სტანდარტი – IIIკლასი

მიმართულება: **ზეპირმეტყველება**

ქართ. III. 1. მოსწავლე მოსმენით ამოიცნობს ტექსტის დანიშნულებას და ადრესატს; ადრესატის გათვალისწინებით წარმართავს სამეტყველო ქცევას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

(ინდიკატორი)

მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობებში, სიტუაციურ თამაშებში, წარმართავს დიალოგებს განსხვავებულ ადრესატთან (თანაკლასელი, მასწავლებელი) ერთსა და იმავე თემაზე, ადეკვატურად ირჩევს შესაბამის სამეტყველო სტილს.

ქართ. III. 2. მოსწავლე იგებს ლიტერატურულ ტექსტებს, იგებს და გადმოსცემს მათ შინაარსს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

(ინდიკატორი)

მარტივი გამოთქმებით (მომწონს/არ მომწონს, საინტერესოა/უინტერესოა, ვეთანხმები/არ ვეთანხმები, ერთგულია/მოღალატეა, მამაცია/მხდალია, და ა.შ.) აფასებს თავად ნაწარმოებს, პერსონაჟებს, მათ საქციელს და ცდილობს საკუთარი მოსაზრების ახსნას.

მიმართულება: **კითხვა**

ქართ. III. 4. მოსწავლე დამოუკიდებლად (ხმამაღლა/ჩუმად) კითხულობს და იგებს სხვადასხვა სახის ტექსტს მისთვის ნაცნობ თემებზე.

(ინდიკატორი)

კონტექსტის მიხედვით ამოიცნობს უცხო სიტყვების მნიშვნელობას და განმარტავს მათ;

მიმართულება: **წერა**

ქართ. III. 8. მოსწავლე თხზავს და შესაბამისად აფორმებს სხვადასხვა ხასიათის მარტივ მიზნობრივ ტექსტს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

(ინდიკატორი)

თხზავს მარტივ ინსტრუქციებს (მაგ.: როგორ უნდა მოვიქცეთ ქუჩის გადასასვლელებზე, როგორ მოვუაროთ შინაურ ცხოველებს, როგორ გავუფრთხილდეთ სასწავლო ნივთებს და ა.შ.)

მოსწავლის შეფასების სქემა შედგება მოცემული შედეგებისა და ინდიკატორების მიხედვით.

კლასი––––– საგანი––––––– თარიღი––––––– მოსწავლე–––––––	დიახ	არა
აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში		
შეძლო, დიალოგისას შეერჩია შესაბამის სამეტყველო სტილი (მეგობართან, მასწავლებელთან)		
შეძლო პერსონაჟების შეფასება, საკუთარი აზრის ახსნა		
შეძლო კონტექსტის მიხედვით უცხო სიტყვების ამოცნობა და მნიშვნელობის განმარტება		
შეძლო მარტივი ინსტრუქციის შექმნა		
კითხულობს ხმამაღლა და გარკვევით		

მასწავლებლის თვითშეფასების ცხრილი

კრიტერიუმები	სრულად	ნაწილობრივ
გაკვეთილი დაიწყო ეფექტურად		
ჩართული იყო ყველა მოსწავლე		
განვახორციელე ყველა დაგეგმილი აქტივობა		
დროის მენეჯმენტი განვახორციელე სწორად		
რესურსები იყო ეფექტური		
გავედი დაგეგმილ შედეგზე		

მასწავლებლის რეფლექსიის ბარათი

თარიღი .....

მასწავლებელი .....

საგანი .....

თემა .....

კლასი .....

ჩემი აზრით, გაკვეთილზე მივაღწიე დასახულ მიზანს, რადგან: მოსწავლეებმა გაიაზრეს და ა. შ.
სრულად ..... ნაწილობრივ ..... ვერ მივაღწიე ..... (მონიშნეთ შესაბამისი პუნქტი)

პრობლემა	პრობლემის გადაჭრის გზა
პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს...	აქ ჩამოთვალეთ კონკრეტული გზები პრობლემის გადასაჭრელად.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა იცოდეს, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი გაკვეთილი დამსწრეთა მიერ. კარგი იქნება, თუ ის ამ ცხრილის მიხედვით იხელმძღვანელებს და გაკვეთილზე ფოკუსირებას მოახდენს იქ ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე. მასწავლებლის გაკვეთილის მონიტორინგის ცხრილი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. სკოლის შიდა დაკვირვების ჯგუფი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, მასწავლებლის ეთიკის კოდექსისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიმუშავებს ამ ცხრილებს და აცნობს მასწავლებლებს. ასეთი ცხრილების ნახვა მრავლად შეიძლება ინტერნეტის საშუალებით.

(ეს ცხრილი შეიმუშავა განათლების ინსტიტუტმა 2011 წელს)

საგანი .....

კლასი .....

პედაგოგი .....

თარიღი .....

გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობები	წარმატებული	კარგად	ესაჭიროება განვითარება
ქმნის აზრის გამოთქმისათვის ხელსაყრელ გარემოს			
მოსწავლის მიერ გამოთქმული ყველა აზრი მისაღებია/პატივს ცემს მის აზრს/დაშვებულ შეცდომებს იყენებს უკეთესი შედეგის მისაღწევად			
გაკვეთილს აკავშირებს პრაქტიკასთან და მიზანმიმართულად იყენებს სხვადასხვა დამხმარე მასალას/წყაროებს			
აკონტროლებს დროს			
სწორად არის შერჩეული შეფასების ფორმა			
საგაკვეთილო პროცესში მიღწეულია შედეგი			
პროცესს წარმართავს შემოქმედებითად			
ეფექტურად არჩევს და იყენებს მეთოდებს			
მეტყველებს ლიტერატურული ენით და ფლობს სამეცნიერო ტერმინოლოგიას			
ეფექტურად იყენებს თვალსაჩინოებებს/რესურსებს			
გაკვეთილის შემდგომ ახდენს რეფლექსიას (ჩანაწერი, კომენტარი და სხვ.)			
სტუმრის კომენტარი			
მასწავლებლის კომენტარი			

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

წარსულით ცხოვრება არ შეიძლება

რუბრიკის სტუმარია ნინო ბურდილაძე, კიოლნის უნივერსიტეტის დოქტორანტი

– ნინო, საუბარი მოსწავლეობის პერიოდით დავიწყოთ. სწავლობდი 161-ე საჯარო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრე. რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში სკოლაში გატარებულ წლებს, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– დღემდე ძალიან კარგად ვიხსენებ სკოლას. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე პერიოდი დაემთხვა ჩემს მოსწავლეობას (90-იანი წლები, კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია) მაინც ძალიან კარგი მოგონებები მაკავშირებს სკოლასთან. ჩვენმა მასწავლებლებმა და, ზოგადად, განათლების სისტემამ, მოახერხეს, რომ ზოგად განათლებას სრული კოლაფსი არ განეცადა. კარგად ჩამოყალიბებულმა სისტემამ მაინც შეძლო, სრულად არ დაშლილიყო. ცხადია, იყო ისეთი შემთხვევები, როცა გაკვეთილები არ ტარდებოდა, ზამთარში ისევე თბილად ჩაცმულები ვისხედით საკლასო ოთახში, როგორც ქუჩაში დავდიოდით. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ჩვენი მასწავლებლების გმირობასთან გათანაბრებული საქციელი, როცა გაყინულ შენობაში გვიტარებდნენ გაკვეთილებს. სკოლამ ძალიან კარგი საშუალო განათლება მომცა. სწორედ ამ ცოდნაზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი შემდგომ უმაღლესი განათლების მიღება. საზღვარგარეთ ყოფნამ კიდევ უფრო ცხადად მიჩვენა, რომ ჩემი საშუალო სკოლის განათლების დონით, არა თუ არ ჩამოვუვარდებოდი უცხოელ თანატოლებს, არამედ, ბევრ შემთხვევაში, მათზე უპირატესობაც კი მქონდა. ჩემი პროფესიული არჩევანი არ ყოფილა სკოლაში მიღებული განათლებით განპირობებული. პირიქით – სკოლაში ფიზიკა-მათემატიკური განხრა შევარჩიე, უნივერსიტეტში კი, უფრო ჰუმანიტარული მიმართულებით განვაგრძე სწავლა. ეს შეგნებული გადაწყვეტილება იყო, რადგან არ მინდოდა მხოლოდ ცალმხრივი განათლება მქონოდა. მინდოდა, ყველა სფეროზე გარკვეული წარმოდგენა შემქმნოდა.

– სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აგრძელებ და როგორც წარჩინებულ სტუდენტს, ერთი წლით, სასწავლებლად გერმანიის ლიუნებურგის უნივერსიტეტში გგზავნიან. მიამბე ამ პერიოდის შესახებ.

– ესეც ჩემი ცხოვრების ძალიან ამაღელვებელი პერიოდი იყო. საბჭოთა კავშირში და შემდეგ ეკონომიკურად შეჭირვებულ პირობებში გამოვლილ მოზარდს მიუწვდომელ და შორეულ ოცნებად მესახებოდა გერმანიაც და საერთოდ, ევროპა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სამ ქართველ სტუდენტთან ერთად, ქალაქ ლიუნებურგის უნივერსიტეტში გავაგრძელე სწავლა. ეს იყო ახალ გარემოსთან ჩემი პირველი შეხვედრა, უამრავი რამ უცხო და ახალი... მოგეხსენებათ, გერმანიაში მაშინ სასკოლო განათლება 13 წელს გრძელდებოდა. ამიტომ ყველა გერმანელი სტუდენტი, ვინც ჩემთან ერთად სწავლობდა, სამოოთხი წლით უფროსი მაინც იყო ჩემზე. გაცილებით დამოუკიდებლები და უკვე ჩამოყალიბებული, ზუსტად ჰქონდათ გაწერილი კარიერული მომავალი.

გერმანიაში ჩამოსვლა „აღთქმულ მიწაზე“ მოხვედრას და ნეტარებას არ ნიშნავდა. საწყისი პერიოდი დაკავშირებული იყო დაძაბულობასთან, გაურკვევლობასთან, სიახლესთან, ენობრივ სირთულეებთან. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ენა უკვე კარგად ვიცოდი, მაინც სულ სხვაა ამ ენის მატარებლებთან ურთიერთობა. უნდა მესწავლა ტერმინოლოგია, ყურადღებით მესმინა ლექციებისთვის. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან პოზიტიურად ვაფასებ ამ პერიოდს: მშვენივრად მოწყობილი ინფრასტრუქტურა, სტუდენტებისთვის შექმნილი საუკეთესო პირობები, დანესებული შეღავათები, საუკეთესო ბიბლიოთეკა, შესანიშნავად აღჭურვილი ლაბორატორიები თუ სამუშაო ოთახები. მაშინ გავიაზრე, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გერმანიის მთავრობა განათლებას და ახალგაზრდების განვითარებას. ეს დღესაც ასეა. ძალიან დიდი ინსვესტიცია იდება განათლების სისტემის განვითარებაში, კვლევითი პროექტების დაფინანსებაში, გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობასა და მოკლე ან გრძელვადიანი სტიპენდიების გაცემაში. ეს ძალიან გონივრული, მომავალზე ორიენტირებული მიდგომაა, რადგან მხოლოდ საფუძვლიან და ამომწურავ განათლებაზე დამყარებული სისტემა იქნება სიცოცხლისუნარიანი და ასეთ ახალგაზრდებზე დაყრდნობით ექნება სახელმწიფოს განვითარების შანსი.

– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლებლად, ისევ უცხოეთში მიემგზავრები, კერძოდ, გერმანიის ქალაქ ჰანოვერის და საფრანგეთის ქალაქ ჰავრის უნივერსიტეტებში. საინტერესოა რამდენად ადვილად ახერხებ ახალ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ, გარემოსთნ შეგუებას?

– ლიუნებურგში ერთწლიანი სწავლებისა და გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, დავბრუნდი საქართველოში, სადაც დავამთავრე ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სამართლის გერმანულენოვანი ფაკულტეტი. ერთწლიანი სამუშაო გამოცდილების შემდეგ ისევ გერმანიისკენ ვიბრუნე პირი. ამჯერად ერასმუს მუნდუსის სტიპენდიის ფარგლებში ორწლიანი მაგისტრატურის კურსზე ვსწავლობდი, რაც ითვალისწინებდა ერთი წელი გერმანიის ქალაქ ჰანოვერის უნივერსიტეტში სწავლას და ერთ სემესტრს, საფრანგეთის ქალაქ ჰავრის უნივერსიტეტში სალექციო კურსის მოსმენას.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში უკვე ნამყოფი ვიყავი და ჩემთვის ეს გარემო უცხო აღარ იყო, ახალ შთაბეჭდილებებს და ახალი კულტურის გაცნობას მაინც ვერ ავცდი. აბსოლუტურად სხვა გამოცდილება იყო საფრანგეთში გატარებული პერიოდი. ფრანგებს ცხოვრების განცდის რადიკალურად სხვა წარმოდგენა აქვთ, ვიდრე გერმანელებს. ცხადია, ქვეცნობიერად ვიცით, რომ ყველა ერი განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ როდესაც უშუალოდ ამ გარემოში მოვხვდებით, მაშინ ვიაზრებთ ამ განსხვავებებს მთელი სიგრძე-სიგანით. თუკი გერმანელები ძალიან რაციონალური, საღი გონების, ფხიზელი და ზომიერი ხალხია, ფრანგები მიდრეკილები არიან, მეტი სიამოვნება მიიღონ ცხოვრებისგან. მათგან განსხვავებით გერმანიაში ratio ბატონობს.

განსხვავება შეიმჩნევა არა მხოლოდ ცხოვრების წესსა და მიდგომებში, არამედ სასწავლო სისტემაშიც. გერმანიაში მთელი სისტემა ისეა მოწყობილი, რომ სტუდენტს მეტი ინიციატივა და დამოუკიდებლობა მოეთხოვება, მთელი პროცესი მეტად ანონიმურია. ლექტორი სტუდენტებს არ იცნობს. საფრანგეთის უმაღლესი სასწავლებელი კი მეტად მომაგონებდა სასკოლო სისტემას. აქ კურსზე სტუდენტთა უფრო მცირე ჯგუფები იყო და პროფესორებსა და სტუდენტებს შორის უფრო უშუალო დამოკიდებულება სუფევდა. ეს სწავლების ხარისხზე არაფერს ამბობს. მხოლოდ მიდგომა იყო განსხვავებული.

– ამჟამად სწავლობ კიოლნის უნივერსიტეტში, საერთაშორისო სამართლის სფეროში სადოქტორო პროგრამაზე და მუშაობ სადისერტაციო ნაშრომზე, რომელიც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს ეხება.

– დიახ, სადისერტაციო თემად რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები შევარჩიე. ეს საკითხი ჩემთვის, ისევე როგორც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, ძალიან მტკივნეულია. საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტები, რომლებიც 90-იან წლებში დაიწყო, ფაქტობრივად, ჩემი თაობის წარმომადგენელთა ცხოვრების თანმდევია. ამ თემის შერჩევის მოტივაცია ის იყო, რომ არ მინდოდა მხოლოდ ერთ, განყენებულ სამართლებრივ საკითხზე მემუშავა, რომელსაც, ალბათ, მარტო სამეცნიერო მნიშვნელობა ექნებოდა. სურვილი მქონდა, ისეთი თემა დამემუშავებინა, რომელიც საშუალებას მომცემდა საქართველოსთვის საჭირბოროტო საკითხი საფუძვლიანად გამომეკვლია და პრობლების გადაწყვეტის სავარაუდო გზაც შემეთავაზებინა. ერთი მხრივ, კარგია, რომ პრაქტიკასთან დაკავშირებული თემაა, მეორე მხრივ, ეს საქმეს ართულებს, რადგან ხშირად სუბიექტურობაც იჩენს ხოლმე თავს. ადამიანური გულისწყვეტა იმის გამო, რომ უკვე ათწლეულებია ამ პრობლემის გადაწყვეტა ვერ ხერხდება, ხელისშემშლელი შეიძლება იყოს. თუმცა, კარგად ვაცნობიერებ, მეცნიერული საქმიანობის დროს, ემოციური ჩართულობა სასურველი არაა.

ბევრ საკითხთან ერთად, რაც სადისერტაციო ნაშრომში იქნება განხილული, განსაკუთრებით საინტერესოა პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხთა მჭიდრო ურთიერთკავშირის წარმოჩენა. ასევე პრობლემატურია ლტოლვილთა სტატუსის და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი.

– ნინო, შენ ხარ კიოლნის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ქართველ სტუდენტთა გაერთიანება „აისის“ თავმჯდომარე, რა არის ამ ორგანიზაციის მიზანი?

– 2013 წელს, კიოლნის უნივერსიტეტის ბაზაზე, დავაფუძნეთ ქართველ სტუდენტთა გაერთიანება „აისი“. მანამდე არსებობდა რეგიონული ხასიათის მქონე მსგავსი გაერთიანებები, მაგალითად, ჩრდილოამერიკული, ლათინური ამერიკის, არაბული, აფრიკული და სხვ. ამიტომ, განსაკუთრებით გვიხაროდა, რომ ჩვენი პატარა ქვეყნისთვის, გაერთიანების შექმნა შევძელით. ფარულ კენჭისყრაზე გაერთიანების თავმჯდომარედ ამირჩიეს. იმ დროისთვის კიოლნის უნივერსიტეტში ასამდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა, რაც იმედს გვაძლევდა, რომ ჯგუფის საქმიანობა წარმატებით წარიმართებოდა. იმედი არც გაგვცრუებია. ამ ორი წლის მანძილზე ბევრი საინტერესო ღონისძიების მოწყობა შევძელით.

რაც შეეხება ორგანიზაციის სახელს, შეგნებულად გვინდოდა რამე ქართული სახელი შეგვერჩია. დიდი ბჭობის შემდეგ „აისზე“ შევჩერდით, რადგან დადებითი კონოტაციის სიტყვაა, ახალ დღესთან, დასაწყისთან, სითბოსა და სიცოცხლის წყაროსთან, მზესთან ასოცირდება და თანაც, უცხოელებისთვის ადვილი გამოსათქმელია. ჩვენი ორგანიზაცია, პირველ რიგში, მიზნად ისახავს იმ ქართველი სტუდენტების დახმარებას, რომლებიც კიოლნში სწავლობენ. ახალ გარემოსთან შეგუება, განსაკუთრებით საწყის ფაზაში, რთულია, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაში გარკვევა, ადმინისტრაციული სირთულეების დაძლევა. რამდენჯერმე საქართველოდანაც მოგვმართეს გერმანიაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, დავაკვალიანეთ; ასევე გვქონდა შემთხვევა, როცა სამედიცინო ფაკულტეტის ერთ-ერთ გერმანელ სტუდენტს საქართველოში უნდოდა პრაქტიკის გავლა. სასარგებლო კონტაქტების წყალობით შევძელით კავშირის დამყარება საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტთან და შუამავლის როლი ვითამაშეთ გერმანელ სტუდენტსა და ქართულ უნივერსიტეტს შორის, ასევე შემოგვეხმიანენ ქართული ენის სწავლის მსურველები. დიდი სიამოვნებით შევითავსეთ ეს დავალებაც. გარდა ამისა, პირადად მიზნად დავისახე საქართველოს და ქართული კულტურის წარმოჩენა გერმანიაში, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენი თვითმყოფადი კულტურა აუცილებელია, გავაცნოთ მსოფლიოს. ამ მიზნით, რამდენჯერმე მოვაწყვეთ ქართული კულტურის საღამო, წავიკითხეთ მოხსენებები საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ არჩევანზე, თან ისე, რომ მოვახდინეთ საქართველოს საბჭოთა წარსულის და ევროპული მომავლის შეპირისპირება. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქართული ხალხური მუსიკის საღამო, რომელიც „აისის“ ფარგლებში გავმართეთ. დიუსელდორფში, წმ. ანთიმოზ ივერიელის ეკლესიასთან, არსებობს ვაჟ მგალობელთა გუნდი, რომელსაც კიოლნის უნივერსიტეტის მუსიკის სასწავლებლის მაგისტრანტი ბექა ფერაძე ხელმღვანელობს. ბექამ და მისმა ბიჭებმა თანხმობა განაცხადეს ამ ღონისძიებაში მონაწილეობაზე და შესანიშნავი საღამო გამოგვივიდა, რომელსაც მხოლოდ ქართველები კი არა, მრავალფეროვანი უცხოელი საზოგადოებაც დაესწრო. ძალიან გვიხაროდა, რომ კიოლნის უნივერსიტეტის დარბაზშიც დავაგუგუნეთ ქართული „მრავალჟამიერი“ და შეკრებილ საზოგადოებას ქართული ფოლკლორი მოვასმენინეთ. ნოემბერშიც ვგეგმავთ კიდევ ერთ მუსიკალურ საღამოს, ამჯერად სხვა გაერთიანებებთან ერთად. დარწმუნებული ვარ, ამ მრავალეროვან მოზაიკაში ქართული გალობა საპატიო ადგილს დაიკავებს და ევროპელი მსმენელის დიდ მოწონებას დაიმსახურებს. ამას გარდა, ვცდილობთ, გერმანულ კულტურასაც ვაზიაროთ ქართველი სტუდენტები და სხვადასხვა გასვლით ღონისძიებებს ვაწყობთ, ექსკურსიებს და სხვ. კიოლნის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება ძალიან გვიდგას მხარში და გვეხმარება. უსასყიდლოდ გვთავაზობს თავის მატერიალურ ბაზას. ჩვენც დიდი სიამოვნებით ვიყენებთ ამ პლატფორმას იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა მეტ ადამიანს გავაცნოთ უკეთესი მხრიდან.

– რა წესით გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები და ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებს თუ არა სტიპენდია სტუდენტის მოთხოვნებს?

– სტიპენდიების გამოყოფის კრიტერიუმები ჩემთვის დღემდე დიდ გამოცანად რჩება. მით უმეტეს, რომ ყველა ფონდს საკუთარი მოთხოვნები და პირობები აქვს, რომლებიც ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ცხადია, აკადემიური მოსწრება და ენის ცოდნა დიდ როლს თამაშობს, თუმცა, ე. წ. სოციალური კომპეტენციები გადამწყვეტია. ეს გულისხმობს, რამდენად კარგად შეუძლია კანდიდატს თავისი თავის წარდგენა, რას მოიცავს მისი ინტერესები, რა შთაბეჭდილებას ახდენს გასაუბრების დროს. სტიპენდიის გაცემის გადაწყვეტილება ძალიან სუბიექტურია. მართალია, ხდება კონკრეტული ობიექტური ფაქტორების გათვალისწინება, მაგრამ შემფასებლის სუბიექტური აღქმაც გადამწყვეტ როლს თამაშობს სტიპენდიის გაცემაზე.

უცხოელი სტუდენტები არანაირი პრივილეგიებით არ სარგებლობენ. წერითი გამოცდის დროს სტუდენტის სახელიც კი არ ეწერება საგამოცდო ნაშრომს, მხოლოდ – სტუდბილეთის ნომერი. ამგვარად ანონიმურობა გარანტირებულია. ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის მიზანია, საუკეთესო კურსდამთავრებულები გამოუშვას. ამიტომ, არავინ არ იღებს შეღავათს. უცხოელებმაც ისევე უნდა გავართვათ თავი ჩვენ წინაშე არსებულ სირთულეებს, როგორც ადგილობრივმა სტუდენტებმა. ამიტომაც ორმაგად რთულია ჩვენთვის წარმატების მიღწევა და შესაფერისი ადგილის დამკვიდრება. ჩვენს წინაპრებს უთქვამთ, საბანი სადამდეც გაგწვდება, იქამდე დაიხურეო. სტიპენდიის საქმეც ასეა. მიუხედავად იმისა, რომ სტიპენდიის უმეტესი ნაწილი ბინის ქირაზე მიდის, მაინც რჩება იმ რაოდენობის თანხა, რაც სავსებით საკმარისია სტუდენტური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თუმცა, ფონდებს გააჩნია. ზოგიერთი მართლაც გულუხვი დონორია. ასე რომ, სტუდენტებს, რომლებიც სტიპენდიას იღებენ, საჩივლელად არ აქვთ საქმე.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით. რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ, რა მსგავსება და განსხვავებაა ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებსა და ქართულს შორის?

– გამომდინარე იქიდან, რომ განვითარებული სახელმწიფოების ბიუჯეტის დიდი ნაწილი განათლებაზე იხარჯება, უცხოური სასწავლებლების ინფრასტრუქტურა გაცილებით უკეთესადაა მოწყობილი. აქვთ წიგნებით სავსე ბრწყინვალე ბიბლიოთეკები, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ლაბორატორიები. განათლება უფრო მეტადაა პრაქტიკაზე ორიენტირებული. პროფესორ-მასწავლებლების უმეტესობას ეტყობა, რომ აკადემიური საქმიანობა მათი მოწოდებაა და მეცნიერებაში ჰპოვებენ საკუთარი თავის რეალიზებას. მერწმუნეთ, ძალიან

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

სასიამოვნოა, როცა ლექტორი მთელი არსებით გიყვებათ ამა თუ იმ საკითხის შესახებ და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით არ დგას სალექციო პულტთან.

– ნინო, დამეთანხმები ალბათ, რომ განათლების მიღება საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. თუმცა, საერთაშორისო განათლების სამყაროში შესასვლელად შესაძლოა ახალგაზრდებს გზა ადვილად აერიოთ. სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე ძნელია. რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ?

– გეთანხმებით, ყველა მიილტვის საზღვარგარეთ. თუმცა, მე პრობლემას იმაში ვხედავ, რომ საზღვარგარეთ სწავლა „პოპულარული“ ხდება. უცხოეთში სწავლას იმიტომ კი არ უნდა მივყოთ ხელი, რომ პოპულარულია და ჩვენს რეზიუმეს (ე. წ. CV-ს) ალამაზებს, არამედ იმიტომ, რომ მართლა გვინდა განათლება მივიღოთ. სამწუხაროდ, ხშირად შემხვედრია ქართველი სტუდენტები, რომლებიც ოპტიმალურად არ იყენებენ მიღებულ შანსებს, აქვთ მხოლოდ სტუდენტის სტატუსი და რეალურად არ იღრმავებენ ცოდნას. ანდა სწავლობენ ისეთ სპეციალობაზე, რომელიც საქართველოში არაა აქტუალური. მაგალითად, ქართველი, რომელიც გერმანიაში ეგვიპტოლოგიას სწავლობს (რაოდენ საინტერესოც არ უნდ იყოს ეს სფერო), არ უნდა მოელოდეს, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისი დასაქმების შანსები გაიზრდება. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები – რომელ სფეროშია აუცილებელი სპეციალისტების მომზადება.

– როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას, როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– აუცილებლად – საქართველოში. რაოდენ კარგადაც უნდა გრძნობდე თავს საზღვარგარეთ, სამშობლო მაინც სულ სხვაა. მიუხედავად შესანიშნავი ინტეგრაციისა გერმანიაში, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი გერმანელი და უცხოელი მეგობრები მყავს, ძალიან მეგობრულად მიმიღო ყველამ და არანაირი უარყოფითი გამოცდილება აქ ყოფნისას არ მიმიღია, პირიქით, ყველა მხარში მედგა ყოველთვის, მაინც მგონია, რომ ჩემს ქვეყანაში ყველაზე კარგად ვიგრძნობ თავს. სამშობლოში მუშაობისას ის შეგრძნება აუცილებლად მექნება, რომ რასაც ვაკეთებ, ჩემი ქვეყნისთვის ვაკეთებ და პატარა წვლილი შემაქვს მის განვითარებაში. თუ ყველანი ვეცდებით, რომ ჩვენი ცოდნა და შრომა ჩვენს ქვეყანას მოვახმაროთ, მეტ მადლიერებას მივიღებთ მომავალი თაობებისგან, ვიდრე საზღვარგარეთ რიგით ჯარისკაცებად სამსახურით.

– როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რაც ევროპაში გატარებულმა პერიოდმა მოგცა?

– საზღვარგარეთ გატარებულმა დრომ სამშობლოსადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაამძაფრა. საქართველოს ბევრი ისეთი რამ აქვს, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ: თავისთავადი კულტურა, გამორჩეული ენა, უნიკალური დამწერლობა, მრავალხმიანი სიმღერა, მსოფლიო მნიშვნელობის ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები, სხვა და სხვა. თუმცა, არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარსულში და წარსულით ცხოვრება არ შეიძლება. უნდა გავიაზროთ წარსული, სწორად აღვიქვათ აწმყო და მიღებული გამოცდილებით განვსაზღვროთ და ვიპოვოთ ჩვენი ადგილი მომავალში. რასაც ყველაზე მეტად ვისურვებდი საქართველოში, არის კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება. მხოლოდ საღი ანალიზის შედეგად შეიძლება განისაზღვროს, რა არის კარგი და შესანარჩუნებელი და რა არის გადაგვარებული, ატავიზმი, რამ დაკარგა თავისი სახე და უნდა შეიცვალოს. არც ის მიდგომა მიმაჩნია სწორად, თითქოს იმიტომ უნდა შევიცვალოთ, რომ ვიღაცამ მიგვიღოს ან ვიღაცას მოვეწონოთ. როგორც ერი გააზრებულად უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ესა თუ ის ჩვეულება, ტრადიცია და ჩვევა აღარაა მისაღები, აბსოლუტურად შეუთავსებელია თანამედროვე ცხოვრებასთან. უნდა ვისწავლოთ განსხვავებული აზრის მოსმენა. უნდა ვიცოდეთ, რომ თუ სხვას განსხვავებული მოსაზრება აქვს, არ ნიშნავს, რომ ის ჩვენი მტერია. ქართველების ნათქვამი არაა, მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო? როცა შევძლებთ განსხვავებული აზრის დაფასებას, კონსტრუქციული კრიტიკის მოსმენას, შენიშვნების მიღებას და გაანალიზებას, მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, საზოგადოების სწორი მიმართულებით განვითარება. ღრმად უნდა გვჯეროდეს, რომ მხოლოდ მუყაითობით, გამრჯეობით, დაუზარლობითაა შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღწევა. ეს თვისებები კი პასუხისმგებლობას უკავშირდება. მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმე კარგად კეთდება, ეს კი განვითარების საწინდარია.

ქართულ საზოგადოებაში, დიდი სიამოვნებით დავინახავდი შემდეგ თვისებებს: პასუხისმგებლობა, გახსნილობა, რაციონალური აზროვნება შეზავებული ემოციურ ემპათიასთან.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

ინფორმაცია

Microsoft-ის კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, Microsoft-ის მიერ ორგანიზებულ, ინოვაციური ტექნოლოგიების კონკურსში გამარჯვებულ მასწავლებლებს უმასპინძლა და საჩუქრები და სერტიფიკატები გადასცა.

Microsoft და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წლებია თანამშრომლობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით. ქართველი პედაგოგები ინტენსიურად იღებენ მონაწილეობას კონკურსებსა თუ პროექტებში, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

ამჯერად, საქართველოს სკოლების მასწავლებლებმა მონაწილეობა ორ კონკურსში (Innovative Educator Expert და Mixathon Challenge) მიიღეს, გამოვლინდნენ გამარჯვებულები. Mixathon Challenge-ის გამარჯვებულებმა სპეციალური პრიზები დაიმსახურეს, ხოლო Innovative Educator Expert-ის გამარჯვებული ორი მასწავლებელი, 2016 წლის 8-10 მარტს, ბუდაპეშტში (უნგრეთი), Microsoft Educator Exchange გლობალურ კონფერენციაზე გაემგზავრება, სადაც, მსოფლიოს მასშტაბით, თავს იყრის 300 საუკეთესო მასწავლებელი ექსპერტი.

ჩვენი პედაგოგები კონფერენციაზე წარადგენენ თავიანთ პროექტებს და მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურ ტრენინგებში. ბუდაპეშტიდან დაბრუნებული პედაგოგები მოაწყობენ პრეზენტაციას თავიანთ სკოლებში, სადაც კოლეგებს გაუზიარებენ გამოცდილებას და კონფერენციის ფარგლებში მოპოვებულ რესურსებს.

კონფერენციის სპეციალური ნაწილი გადმოიცემა ონლაინ სტრიმინგის საშუალებით, სადაც დარეგისტრირება და დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია:

https//www.microsoft.com/en-us/education/e2/default.aspx

პედაგოგები, რომლებიც დაესწრებიან Microsoft Educator Exchange გლობალურ ფორუმს, ბუდაპეშტში, 8-10 მარტს: **ნადია დაბრუნდაშვილი**, ხაშურის პირველი საჯარო სკოლა; **ნინო აბულაძე**, თბილისის 43-ე საჯარო სკოლა.

მეორე კონკურსის (Microsoft Mixathon Challenge) საფუძველზე, საქართველოდან გამოვლინდა სამი გამარჯვებული, რომელთა სკოლებსაც გადაეცათ პრიზები:

რუსუდან გონაშვილი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლა, სკოლის პრიზი – MicrosoftImagine Academy-ის სასწავლო პროგრამაზე ერთწლიანი ხელმოწერა (მთელი სკოლის წვდომა); **ნინო კოკილაშვილი,** წნორის მე-3 საჯარო სკოლა, სკოლის პრიზი: Corinth ვირტუალურ სასწავლო რესურსების კლასის პაკეტზე ერთწლიანი ხელმოწერა (20 მომხმარებელი); **ლაურა ჯიმშელეიშვილი,** „შავნაბადას“ გიმნაზია, სკოლის პრიზი: ჩანთა და სუვენირები, კლასის პაკეტი (20 ცალი). ყველა დანარჩენ მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„პირველ რიგში, პედაგოგებს მინდა მივულოცო ძალიან მნიშვნელოვან კონკურსში მონაწილეობა. პრაქტიკულად, მათი მეშვეობით შეიქმნა კიდევ რამდენიმე ახალი საგანმანათლებლო რესურსი, რომელშიც მათ თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენეს. ეს არის სწორედ ის ხაზი, რომელსაც ახლაც და მომავალშიც მხარს დავუჭერთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ასევე Microsoft-ის წარმომადგენლებს, ისინი რამდენიმე წელია ჩვენთან ერთად ინტენსიურად მუშაობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე გამარჯვებული მასწავლებელი გვყავს. ისინი გაემგზავრებიან საზღვარგარეთ და მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო მასწავლებელთა ფორუმში, კონგრესში, სადაც 300 მასწავლებელთან ერთად იქნებიან წარმოდგენილები. ვულოცავ მათ ამ გამარჯვებას და იმედს ვიტოვებ, რომ Microsoft-თან ამ კუთხით გაგრძელდება მუშაობა.“*

ქეთევან თათოშვილი, კომპანია Microsoft-ის საჯარო სექტორის მენეჯერი საქართველოში: *„კომპანია Microsoft-ის მხარდაჭერით ჩატარდა მასწავლებლების ორი კონკურსი: ერთი – საუკეთესო მასწავლებლის გამოსავლენად, ხოლო მეორე, ე.წ. მიქსატონი (Microsoft Mixathon Challenge), რომლის ფარგლებშიც, პედაგოგებმა წარმოადგინეს სხვადასხვა ინოვაციური პროექტი. პირველი კონკურსის ფარგლებში, გამოვლინდა ორი მასწავლებელი, რომლებიც გაემგზავრებიან ქალაქ ბუდაპეშტში, განათლების მსოფლიო ფორუმზე. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იქნება მასწავლებლებისთვის, მიიღონ ახალი გამოცდილება, გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება კოლეგებს. ამ ფორუმზე, სხვადასხვა ქვეყნიდან, 300-მდე მასწავლებელი იქნება წარმოდგენილი, ამასთანავე გაივლიან ტრენინგებს, წარადგენენ და მოამზადებენ საკუთარ პროექტებს, რომლებსაც დაბრუნებისას თავთავიანთ სკოლებში დანერგავენ. რაც შეეხება მიქსატონს, მიქსატონიც არანაკლებ ნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, სადაც გამოვავლინეთ სამი გამარჯვებული. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მონაწილეს. მათ ინოვაციური, მნიშვნელოვან ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროგრამები წარმოადგინეს, თუმცა, კონკურსის პირობიდან გამომდინარე, მხოლოდ სამი გამარჯვებული გამოვლინდა, რომლებსაც სპეციალური პრიზები გადაეცათ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობისთვის და თითოეულ მასწავლებელს, კონკურსში მონაწილეობისა და თავდადებისთვის.“*

ნინო აბულაძე, თბილისის 43-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი: *„მოხარული ვარ, რომ ჩემს კოლეგასთან (ნადია დაბრუნდაშვილი, ხაშურის პირველი საჯარო სკოლა) ერთად, საშუალება მეძლევა, დავესწრო და მონაწილეობა მივიღო Microsoft-ის გლობალურ ფორუმში, გავიზიარო მსოფლიოს სხვა მასწავლებლების გამოცდილება. დარწმუნებული ვარ, ფორუმი საინტერესო იქნება, აქტივობებით დატვირთული და ნაყოფიერი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეეცდებით, მსოფლიოს სხვადასხვა სკოლებში დანერგილი ინოვაციები ჩვენს სკოლებშიც განვახორციელოთ. ფორუმზე წარვადგენთ პროექტებს, უცხოელ კოლეგებს გავაცნობთ ჩვენს ნამუშევრებს, გავუზიარებთ გამოცდილებას. იმედი მაქვს, კომუნიკაცია და თანამშრომლობა შედგება.“*

ინკლუზიური განათლება

ინდივიდუალურ მახასიათებლებზე მორგებული სწავლების სტრატეგია

მე ვარ ქეთევან ჩუბინიძე, ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის საჯარო სკოლის სპეცპედაგოგი, პროფესიით – ფსიქოლოგი და ფილოლოგი. დავამთავრე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს სასულიერო აკადემია.

2014-2015 წლებში გავიარე კვალიფიკაციის ამაღლების კურსი/ტრენინგი, მათ შორის: **1.** „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის“ (მაკ) McLain (სერტიფიკატი), **2.** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული, რომელიც მოიცავდა ხუთ მოდულსა და შესაბამისად – 120 საათს (სერტიფიკატი). ამასთანავე, მაქვს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და ბავშვებთან მუშაობის უნარ-ჩვევა. აქვე უნდა ითქვას, რომ „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ ტრენერები იყვნენ ნეიროფსიქოლოგები, რომლებიც შესანიშნავად ფლობენ ბავშვთა განვითარების დარღვევების შესახებ ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს სპეცპედაგოგის თვალსაწიერს, შემდგომი პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით.

ვფიქრობ, პედაგოგმა, უპირველესად, უნდა იცოდეს, ვის გადასცემს ცოდნას, მხოლოდ ამის შემდეგ დგას საკითხი, როგორ უნდა გააკეთოს ეს.

ყველა ბავშვი, თავისი მრავალფეროვანი და ამოუხსნელი სამყაროთი, ნებისმიერ ვითარებაში, რთული და საინტერესო ფენომენია. მით უფრო რთულადაა საქმე მაშინ, როცა ბავშვი განვითარების დარღვევების მქონეა, არ ან ძნელად ემორჩილება აღზრდის მიღებულ კანონებსა და ნორმებს. ამ თვალსაზრისით კი, სირთულეები წარმოიქმნება როგორც შემეცნებით-აკადემიურ, ასევე სოციალურ-მორალური უნარების განვითარებაში.

აქვე მნიშვნელოვნად მიმაჩნია გათვალისწინება აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის შესანიშნავად მიგნებული თვალსაზრისისა „აღზრდის ტრაგედიის“ შესახებ, რომლის უგულებელყოფა პიროვნების სულიერ დამახინჯებამდე მიგვიყვანს. მართალია, იგი პედაგოგს ბეწვის ხიდზე გავლას ავალებს, მაგრამ სპეცპედაგოგი ვალდებულია, გაითვალისწინოს განვითარების დარღვევის მქონე ბავშვის ყველა თავისებურება, მისი ინდივიდუალური მახასიათებლისა თუ დარღვევის სპეციფიკის ჩათვლით და მხოლოდ ამის შემდეგ შეარჩიოს სხვადასხვა უნარების განვითარების მეთოდები და სტრატეგიები და მათზე მორგებული აქტივობები.

კანონი განათლების შესახებ შავით თეთრზე წერს, რომ თანამედროვე განათლება სწავლების შედეგებზე ორიენტირებული სისტემაა, ხოლო საუკეთესო შედეგების მისაღწევად, სწორედ ზემოთ მოხმობილის გათვალისწინებაა საჭირო.

ინკლუზიური განათლების სრულყოფილი განხორციელებისათვის ასევე აუცილებელია გუნდურობის პრინციპის დაცვა და ამ საკითხის ეფექტური გადაწყვეტა იმ გარემოში, სადაც იგი ხორციელდება. მშობელი-სკოლის ადმინისტრაცია-საგნის მასწავლებელი-სპეცპედაგოგი – ესაა ოთხი პოლუსი, რომელთა გადაკვეთაზე იმყოფება მოსწავლე, როგორც განათლების სუბიექტი და როგორც პიროვნება. საჭიროა, ოთხივე მათგანის ეფექტური თანამშრომლობით, შეიქმნას ჯანსაღი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარების ნორმების დარღვევით ისედაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარებას, მისი მაქსიმალური შესაძლებლობების გამომჟღავნებას, რაც, სწორედ რომ ყველაზე სასურველი შედეგია არა მხოლოდ მშობლისთვის, სკოლის ადმინისტრაციისთვის, საგნისა და სპეცპედაგოგისათვის, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის. ვფიქრობ, ამგვარი მსოფლმხედველობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღზრდის ეფექტურობის ამაღლებას და დასახული მიზნების მიღწევას დააჩქარებს.

თანამედროვე პედაგოგიური აზროვნების მიღწევად მიმაჩნია სკოლებში სპეცპედაგოგის პროფილის შექმნა, რაც, სამწუხაროდ, დღევანდელი სკოლების სინამდვილეში არასწორადაა აღქმული და ინტერპრეტირებული პედაგოგთა უმრავლესობის მიერ. თუ ეს დროზე არ აღმოიფხვრა, მსგავსი დამოკიდებულება ხელს შეუშლის არა მხოლოდ სპეცპედაგოგის საქმიანობას, არამედ შეაფერხებს მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევას, რაც ყველაზე უფრო სავალალოა, დაამუხრუჭებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარებას და, თავის მხრივ, დააზარალებს თვით სახელმწიფოს.

სკოლის ადმინისტრაცია დროულად უნდა გაერკვეს ინკლუზიური განათლების სპეციფიკაში და მიმღეობა გამოამჟღავნოს პედაგოგიკის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს მიმართ, რომლის სწავლების მეთოდების ეფექტურად გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაშია შესაძლებელი. ვფიქრობ, შემეცნებითი-კოგნიტური, სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების მეთოდებისა და სტრატეგიების სიღრმისეული შესწავლა-გამოყენება ჯანმრთელ ბავშვებთან მიმართებაშიც არ აწყენდა არც ერთ პედაგოგს.

როგორც კარგი მებრძოლი ბრძოლის ველს მიიჩნევს თავისი ძალების გამოსაცდელ ადგილად, ასევე პედაგოგი, ცოდნითა და სწავლების მეთოდებით შეიარაღებული, გამოცდას გადის გაკვეთილზე, ამ გასაოცარ ბრძოლის ველზე, სადაც არ არსებობს დამარცხებული მხარე. საკუთარი გამოცდილებიდან მინდა დაგიდასტუროთ, რომ გაკვეთილი შესანიშნავი არენაა, სადაც მასწავლებელმა საკუთარი ოსტატობა უნდა უჩვენოს პუბლიკას, ხოლო პუბლიკა, არც მეტი, არც ნაკლები – არიან მოსწავლეები, ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ პედაგოგს ყველაზე ჯანსაღი და უტყუარი შეფასება მისცენ. ვფიქრობ, შეფასება სხვა არაფერია, თუ არა სიყვარული, რომელსაც, ერთადერთს, შეუძლია შეცვალოს მოსწავლის სწავლისადმი დამოკიდებულება.

ყველა პედაგოგს მოეხსენება, როგორი ოსტატობა სჭირდება მასწავლებელს, რომელსაც არაერთი დავალება აქვს შესასრულებელი გაკვეთილზე. მან უნდა შეძლოს, ყველა მოსწავლის უნარების გათვალისწინებით, ისე ააგოს გაკვეთილი, რომ ერთდროულად აკონტროლოს შემეცნებით-კოგნიტურ-ემოციურ-სოციალური უნარების თანამონაწილეობა და არა მხოლოდ ცოდნის გადაცემით შემოიფარგლოს, არამედ შეეცადოს, პედაგოგიური ტაქსონომიის საფეხურების თანდათანობითი დაძლევით, აამაღლოს როგორც კოგნიტური, ასევე მორალური დონეები. ზოგადი თვალსაზრისით, პედაგოგს ხომ არასოდეს ჰყავს კლასში თანაბარი უნარებისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები, ამიტომაც მასწავლებლისათვის სწორედ ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს განვითარების დარღვევის მქონე ბავშვი. მისი ოსტატობაც ხომ ესაა – ისე ჩართოს თითოეული მათგანი გაკვეთილში, რომ გარეგნულად არ ჩანდეს რაიმე განსხვავება, მოსწავლეებმა კი, თავიანთი უნარების მიხედვით, სარგებელი მიიღონ. ამ ეფექტის მიღწევა ზემოთ ხსენებული ოთხი პოლუსის მუდმივი და ეფექტური თანამშრომლობითაა შესაძლებელი. სწორედ სპეცპედაგოგი აძლევს საგნის მასწავლებელს შესაბამის ინსტრუქციას, აკვირდება მის გაკვეთილებს და ურთიერთთანამშრომლობის შედეგად აღწევს შედეგს, რასაც მოსწავლის აკადემიურ-შემეცნებითი, სოციალური და ემოციური უნარების გაუმჯობესება-განვითარება ეწოდება. ჯერჯერობით, სკოლაში უმრავლესობასთან ვერ ხერხდება მსგავსი თანამშრომლობა, რადგან, როგორც აღვნიშნე, ხელს მიშლის ზემოთ ხსენებული გარემოებები – ინკლუზიური განათლების არასწორი ინტერპრეტაცია, პედაგოგიური ინდიფერენტიზმი და ქვეცნობიერი პიროვნული შუღლი, რომლებიც წარმოიქმნება სწორედ ამგვარი არაჯანსაღი გარემოს არსებობის პირობებში.

რაც შეეხება დამატებით გაკვეთილებს, რომელსაც პირადად ვატარებ სპეცოთახში, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მხრივ საუკეთესო პირობებში ვიმყოფები, რადგან განათლების სამინისტროს თანადგომით გავიარე მეტად სერიოზული ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაში და ვღებულობ ყოველთვიურ ფულად დახმარებას, რაც საშუალებას მაძლევს, შევიძინო სხვადასხვა განმავითარებელი წიგნი თუ სათამაშო, სწავლების პროცესის ეფექტური წარმართვისათვის.

სულ ოთხი მოსწავლე მყავს, აქედან ერთს – მეათეკლასელს, ცერებრალური დამბლა აქვს და ეტლით სარგებლობს, ორი მათგანი დაწყებითი კლასის მოსწავლეა – მეოთხეკლასელი და მეხუთეკლასელი, ხოლო ერთიც მეშვიდეკლასელია. სკოლაში ჩართული მოსწავლეების განვითარების დარღვევები, კანონის თანახმად, არ არის ღრმა და მძიმე ფორმის, ჩემს მოსწავლეებსაც აქვთ უფრო მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენა, დასწავლის უნარის დაქვეითება, რაც დაფიქსირებულია კიდეც მათ პორტფოლიოში, მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ. სწორედ ამ შეფასებებზე დაყრდნობითა და პირადი დაკვირვებით, პედაგოგებთან და მათ მშობლებთან კონსულტაციების გზით, შევიქმენი წარმოდგენა მათი განვითარების უახლოესი ზონის შესახებ და ამ ნიშნით, პედაგოგებთან ერთად, შევადგინე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. შევეცადეთ, ყოფილიყო როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი მიზნები მისაღწევი და ნაკლებად რთული, ამასთანავე, ჩემი დებიუტი ამ დარგში ნაკლები სითამამის უფლებას მაძლევდა.

ამგვარად დაიწყო რთული, მაგრამ საინტერესო სასწავლო წელი. ჩემთვის უპირველესი ამოცანა იყო ბავშვების კეთილგანწყობის მოპოვება და, ირიბი დაკვირვების გზით, მათი სუსტი და ძლიერი მხარეების ნათლად წარმოჩენა, მათივე სასიკეთოდ. მოსწავლეების კეთილგანწყობის მოპოვება ნამდვილად არ გამჭირვებია, რაშიც, როგორც აღვნიშნე, დამეხმარა ტრენინგების შედეგად მიღებული ცოდნა და ხელსაყრელი გარემო (სპეცოთახი და დამხმარე ნივთები). ასევე მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია ფსიქოლოგიურმა და ანთროპოლოგიურმა განათლებამ, რომელიც თბილისის სასულიერო აკადემიაში მივიღე, ამასთან ძალიან გამომადგა პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება და რაც ყველზე მნიშვნელოვანია – პედაგოგიური ალღო, რომელიც ყველა ჭეშმარიტ პედაგოგს უნდა ჰქონდეს – ეს თანდაყოლილი ნიჭია, რომლის გარეშე პროფესიონალიზმი მხოლოდ აუხდენელი ოცნებაა.

ჩემი მოსწავლეები ვერ წერდნენ საკუთარ სახელსა და გვარს, სკოლის დასახელებას, საკუთარი სოფლის სახელს, დედ-მამის სახელს, ვერც დამოუკიდებლად და ვერც კარნახით, ვერ ახერხებდნენ ფონოლოგიურ სინთეზს და, შესაბამისად, ვერ კითხულობდნენ ერთმარცვლიან სიტყვასაც კი. ასეთივე მდგომარეობა იყო მათემატიკაში. დღეს კი – გამართულად წერენ საკუთარ და სხვათა სახელებსა და გვარებს, შლიან და აწყობენ ორ და სამმარცვლიან სიტყვებს და კითხულობენ. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თხრობაც, უკვე ცდილობენ კითხვების დასმის გარეშე გადმოსცენ პატარა მოთხრობის შინაარსი, ცნობენ და ასახელებენ მთავარ გმირებს და ცდილობენ საკუთარი აზრი მოთხრობის მთავარი სათქმელის შესახებ, მასწავლებლის ვერბალური დახმარებით, გამოთქვან.

განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო მეათეკლასელი, რომელსაც ცერებრალური დამბლის დიაგნოზი აქვს. მისი განვითარება განსაკუთრებული სისწრაფითა და ეფექტურად წარიმართა. ეტლით სარგებლობის გამო, მოსწავლე ხშირად ვერ ახერხებს გაკვეთილებზე დასწრებას და, ძირითადად, შინსწავლების პროგრამით სარგებლობს, რაც ძალიან მაღელვებს, რადგან მისი ემოციური და სოციალური განვითარებისათვის აუცილებელია თანატოლებთან ინტეგრაცია.

მოსწავლე ვერ ხმარობს მარცხენა ხელს, უჭირს მარჯვენა ხელის გამოყენება, თუმცა ცდილობს ასოებისა და რიცხვების წერას, ცნობს და ხმამაღლა ასახელებს ყველა ასოს და კითხულობს ორ და სამასოიან სიტყვებს, თუმცა, სუსტი მხედველობის

ინკლუზიური განათლება

გამო, უჭირს წვრილი შრიფტის ამოკითხვა. მისი ძლიერი მხარეა თხრობა და აზროვნება, ამ უნარებში დასახული მიზნების შესრულება არა მხოლოდ შევძელით, არამედ ბევრად უფრო გავუსწარით მას. მაგალითად, ისტორიასა და ქართულში მოსწავლემ შეძლო საკუთარი თანაკლასელების პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი მასალის შესწავლა; შესანიშნავად დაეუფლა ქართული ენის გრამატიკის საფუძლებს, რომელშიც საკუთარ თანაკლასელებზე მეტი ცოდნაც კი გამოამჟღავნა; ასევე შესანიშნავად შეისწავლა ქრისტიანობის ისტორია და იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-რელიგიური და გეოგრაფიული მდგომარეობა. მოსწავლე არა მხოლოდ ფაქტების ცოდნით შემოიფარგლა, არამედ ამჟღავნებდა მაღალი სააზროვნო უნარების – ანალიზისა და სინთეზის – ჩვევებს, სვამდა მეტად საინტერესო კითხვებს და ცდილობდა მოეყვანა შედარებები. ასევე შეიძლება ითქვას მათემატიკის თვალსაზრისითაც – მოსწავლემ შეძლო, ათის ფარგლებში, თვალსაჩინოების გარეშე, მიმატება-გამოკლების განხორციელება, 20-ის ფარგლებში წაღმა და უკუღმა თვლა, კენტი და ლუწი რიცხვების გარჩევა, წინა და მომდევნო რიცხვების დასახელება.

მიმაჩნია, რომ მისი მიღწევები სათანადოდ უნდა იქნეს შეფასებული სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოხერხდეს გაკვეთილებზე მისი სრულყოფილი დასწრება, რაც ყველაზე დიდი სტიმული იქნება მისთვისაც და მისი ოჯახისთვის. ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს შემდეგი პრობლემის გადაწყვეტას – მოსწავლეს სკოლაში სასიარულოდ ესაჭიროება ადაპტური მანქანა, რაც ასევე გააუმჯობესებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, რადგან შეძლებს ექიმთან ვიზიტსაც.

ვიმედოვნებ, ახალი სასწავლო წელი კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მოგვიტანს, რის გამოც მზადა ვარ ვითანამშრომლო ყველა იმ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლებიც ზრუნავენ ინკლუზიური განათლების განვითარებაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საზოგადოებასთან ინტეგრაციაზე, რაც, თავის მხრივ, შესაძლებლობას მომცემს, ამ ურთულეს სფეროში აკადემიურად ვიმუშაო და ავიმაღლო ცოდნა და გამოცდილება.

ქეთევან ჩუბინიძე
სპეციპედაგოგი,
ზესტაფონის რაიონის სოფ. როდინოულის საჯარო სკოლა

გამოცდილება

პროექტი – სკოლის განვითარების ეფექტური საშუალება

თანამედროვე სკოლა წარმოუდგენელია განვითარების გარეშე. ეს კი მუდმივ ძიებას, მოძრაობას, საქმიანობას, პრობლემის იდენტიფიცირებას, მის გადაჭრას, მოსწავლეების, მშობლების, პედაგოგების, თემის აქტიურობას გულისხმობს, რაც მომავლის სკოლის შენებას ნიშნავს.

მომავლის სკოლის შენება მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ აქტივობასთან, როგორიცაა პროექტი – კონკრეტული პრობლემის გადაჭრისაკენ ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანაშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული ქმედებისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სკოლაში განხორციელებული პროექტები, პირობითად, შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ორიენტირებული;
2. საგანმანათლებლო;
3. გაკვეთილი-პროექტი.

როგორ მივდივართ პროექტამდე?

სკოლაში მიმდინარე პროცესების საფუძველზე, ვადგენთ SVOT ანალიზს, გამოვყოფთ სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს. თითოეული პრიორიტეტი შემდგომ პროექტად გადაიქცევა. ამ საქმეში აქტიურად არიან ჩაბმული მოსწავლეები, მშობლები. ხშირად, როცა პრობლემა მწვავეა და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ვახდენთ პრობლემაზე ფოკუსირებას და, მისი გადაჭრის მიზნით, რამდენიმე პროექტს ვახორციელებთ. ჩვენი სკოლა ყოფილი რუსული სკოლაა, შესაბამისად, ბიბლიოთეკაში მწირი იყო ქართულენოვანი ლიტერატურა. ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, განვახორციელეთ სამი პროექტი:

1. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ ერთად – „ბიბლიოთეკა წიგნის სავანეა“;
2. არასამთავრობო ორგანიზაცია „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“ ერთად – „ერთად შევქმნათ ბიბილიოთეკა“;
3. „წაიკითხე წიგნები, უკეთესად იქნები“ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის ეგიდით.

ამ პროექტების განხორციელებაში მონაწილეობდნენ: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, ადგილობრივი ხელისუფლება. შედეგად მივიღეთ თანამედროვე ინვენტარითა და ქართულენოვანი ლიტერატურით გამდიდრებული ბიბლიოთეკა – 7512 ლარის ღირებულების ქართულენოვანი ლიტერატურა; გამოცხადდა აქცია „ჩემი საჩუქარი სასკოლო ბიბლიოთეკას“, რის შედეგადაც, მოსწავლეთა მშობლებმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს 127 წიგნი; ქალაქის მერიამ კი 1000 ლარის ღირებულების წიგნი შეიძინა. შეიქმნა სამუშაო ზონა, 24-საათიანი ინტერნეტითა და სხვა ტექნიკით, სადაც შესაძლებელია არა მარტო მუშაობა, არამედ პრეზენტაციების მოწყობა.

პროექტი „წაიკითხე წიგნები, უკეთესად იქნები“ მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მის განხორციელებას თან ახლდა კითხვის კვირეული. ყველა კლასში ჩატარდა კითხვის გაკვეთილი. ვკითხულობდით ყველაფერს, დაწყებული ეგზიუპერის „პატარა უფლისწულით“ და პატრიარქის ეპისტოლეთი დამთავრებული. კითხულობდა ყველა – მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, მოწვეული სტუმრები: ადგილობრივი მედია, ხელისუფლება, მსახიობები, ავღანელი ჯარისკაცები, მოსწავლეთა ბებიები და ბაბუები...

პრობლემაზე ფოკუსირების შესანიშნავი მაგალითია პროექტი „გულით, გონებით, ხელებით“, რომელიც სკოლაში ადაპტური გარემოს შექმნას ითვალისწინებდა. ამ პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ორი არასამთავრობო ორგანიზაცია – ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი და გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი. მათთან თანამშრომლობით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ადაპტური გარემო შეიქმნა.

რაც შეეხება სკოლის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებს, რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

1. „ეს შენი სამშობლოა, ბალღო“ – პროექტის ფარგლებში, შეიქმნა ოზურგეთში განთავსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების რუკა, დასუფთავდა მიმდებარე ტერიტორიები, მოსწავლეები გაეცნენ ძეგლების ისტორიას და დაამზადეს საინფორმაციო ბუკლეტი.

2. „პოეზიის თვითნაბადი სამკაულები“ – მოსწავლეები მ. ლერმონტოვის პოემა „მწირის“ მხატვრული სამკაულების (სინონიმები, ანტონიმები, მეტაფორა, ეპითეტი...) მნიშვნელობის განსაზღვრას შეეცადნენ, მოეწყო ექსკურსია ჯვრის მონასტერზე, შეისწავლეს მისი ისტორია, გადაიღეს სურათები, ვიდეოკლიპი, ნაწარმოების მიხედვით შექმნეს ილუსტრაციები, დაიბეჭდა ბუკლეტი.

3. „ჩემი საქართველო აქ არის“ – ცამეტი ასურელი მამის მოღვაწეობის შესწავლას და სამარშრუტო რუკის შედგენას მიეძღვნა. მოეწყო ექსკურსია ასურელ მამათა კვალდაკვალ, პრეზენტაციები ასურელ მამათა ტაძრებში, დაიბეჭდა ბუკლეტი. ეს პროექტი მნიშვნელოვანია იმით, რომ პირველად განვახორციელეთ სხვა სკოლასთან (ლაითურის საჯარო სკოლა) ერთად. განსაკუთრებით საყურადღებო კი ისაა, რომ პროექტში ჩართული იყვნენ არამართლმადიდებელი მოსწავლეები.

სკოლის განვითარების ეფექტური საშუალებაა გაკვეთილი-პროექტი. ძალზე მნიშვნელოვანია ამ მხრივ გაკვეთილი-პროექტი თემაზე – „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. ეს იყო ინტეგრირებული გაკვეთილი (გეოგრაფია, ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა), რომლის დევიზი გახლდათ:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობად თავისადაო,
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო...“

პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო X, XI, XII კლასების 47 მოსწავლე. დევიზი განსაზღვრავდა მოსწავლეთა მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით: საქართველოს გეოგრაფიული არეალი; ისტორიული კონტექსტი; სულიერი ღირებულებები, რომლითაც ქართველი ერი ცხოვრობს; როგორი არჩევანი გააკეთოს საქართველომ ევროპისაკენ მიმავალ გზაზე.

ამრიგად, პროექტი მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ფაქტობრივი ცოდნის მიღების თვალსაზრისით, მეორე მხრივ, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის.

პროექტის აღწერა და განხორციელება

პროექტის თემის განსაზღვრამდე, საინფორმაციო შეხვედრაზე, მოსწავლეებს შევთავაზეთ სამი თემა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“; „თამარის ფრესკა ქართულ ხუროთმოძღვრებაში“; „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“.

შემდეგ კი ჩავატარეთ მოსწავლეთა ანკეტური გამოკითხვა, თემის შერჩევის მიზნით. 47 გამოკითხულიდან 43-მა მოსწავლემ პროექტის თემად აირჩია – „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, სამმა – „თამარის ფრესკა ქართულ ხუროთმოძღვრებაში“, ერთმა – „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. ასე განისაზღვრა განსახორციელებელი პროექტის თემა.

პროექტის განხორციელება დაიწყო მოსწავლეთა მიერ დავალებების შესრულებით:

გეოგრაფიული არეალი, გეოგრაფიის მასწავლებელი – **ქეთო სამსონია**. მოსწავლეებს მიეცათ დავალება, განესაზღვრათ საქართველოს ფიზიკური, გეოგრაფიული, სატრანსპორტო, გეოპოლიტიკური მდებარეობა, განეხილათ ევროპასა და აზიას შორის საზღვრის გატარების ვერსიები;

ისტორიული კონტექსტი, ისტორიის პედაგოგი – **რებეკა გოგიბერიძე**. მოსწავლეებმა მოიძიეს, დაამუშავეს და საპრეზენტაციოდ გაამზადეს შემდეგი თემები: საქართველო და ევროპა დიდი იმპერიების სამიზნე; საქართველო და ჯვაროსნები; გიორგი V და ფილიპე VI თანასწორი პარტნიორები; ანტიოსმალური კოალიცია; რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები; თანამედროვეთა სწრაფვა ევროინტეგრაციისაკენ.

სულიერი ღირებულებები, რომლითაც ქართველი ერი ცხოვრობს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – **ელენე მარი**. მოსწავლეებმა გამართეს პრეზენტაციები, თემებზე: ადამიანის ქრისტიანული იდეალი; ადამიანის რუსთველისეული იდეალი; რომანტიზმი საუკუნის სავიზიტო ბარათი; თათქარიძეობიდან ადამის ძეობამდე – კოლაჟი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიხედვით; კოსმოპოლიტიზმი თუ პატრიოტიზმი (მცირე დისკუსია).

პროექტის დასკვნითი ნაწილი – იმპროვიზებული გაკვეთილი – გასცილდა ჩვეულებრივი გაკვეთილის დროით და სივრცით ჩარჩოებს, რადგან მას ესწრებოდა უამრავი სტუმარი (ოზურგეთის რაიონის პედაგოგები, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები, მშობლები).

გაკვეთილზე პასუხი გაეცა უმთავრეს შეკითხვებს: ვინ არის ქართველი ერი? საიდან მოსულა? როგორია მისი გეოგრაფიული არეალი? როდის და რატომ დაიწყო ქართველმა ერმა ევროპისკენ სწრაფვა? რა მისცა საქართველომ ევროპულ ცივილიზაციას?

მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხებზე მოსწავლეებს საინტერესო პრეზენტაციები ჰქონდათ მომზადებული.

გაკვეთილის ემოციური დასასრული – მოსწავლეებს მიეცათ დავალება, საკუთარი ინტერპრეტაციით დაესრულებინათ ფრაზა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ...“ აი, მოსწავლეთა პასუხები და გაკვეთილის მთავარი მესიჯიც: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ შემწყნარებელი, დემოკრატი, აქტიური მოქალაქე, კეთილგონიერი, კოსმოპოლიტი, თავისუფალი, ძირძველი ევროპელი, გონიერი, ტოლერანტი, ჰუმანისტი, მეგობრული, პროგრესულად მოაზროვნე, ძლიერი ინდივიდი, ნოვატორი, შრომისმოყვარე, სახელმწიფოს ცენტრი, ტრადიციების გამგრძელებელი, განათლებული, კეთილმოსურნე...“

პროექტის, როგორც აქტივობის შედეგია ის, რომ ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ხორცშესხმას: უვითარებს მოსწავლეებს ინტერპერსონალურ უნარ-ჩვევებს; ხელს უწყობს ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტურ გამოყენებას; ასწავლის მოსწავლეს, იყოს შემოქმედი; უყალიბებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების სურვილს; საშუალებას აძლევს, გაიაზროს ქვეყნის ინტერესები, ტრადიციები და ღირებულებები; ზრდის კანონმორჩილ, ტოლერანტულ მოქალაქეს.

პროექტი ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციების ცხოვრებაში გატარების ეფექტური საშუალებაა. ეს კომპეტენციებია:

1. წიგნიერება – თანამედროვე გაგებით, ეს ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის უნარია;
2. მედიაწიგნიერება – ტექსტი, რომელიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან, და ვიზუალურ საშუალებებს;
3. ციფრული წიგნიერება – ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავების უნარი;
4. მრავალენობრივი კომპეტენცია – უნარი დაეუფლოს და გამოიყენოს ენები;
5. სემიოტიკური კომპეტენცია – საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარი;
6. სწავლის სწავლა-სწავლების პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაც ამგვარად გვესახება.

ტარიელ კალანდაძე
სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორი

ანტალია გააოცეს

ამ შაბათ-კვირას, ანტალიაში, დასრულდა ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასი, რომელშიც ძალიან დიდი წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები – ბიჭებიც და გოგონებიც. ჩვენმა გაერთიანებულმა ნაკრებმა, ჯამში, 24 მედალი მოიპოვა – 6-6 ოქრო-ვერცხლი და 12 ბრინჯაო. ცხადია, მედლების უმეტესობა ბიჭების წილად მოდის, თუმცა ისინი რაოდენობრივადაც მეტნი იყვნენ – 31 მონაწილე ჰყავდათ, გოგონების გუნდში კი 14 სპორტსმენი შედიოდა. თუმცა, ოქროს მედლების ოდენობით, ტოლი არ დაუდეს ბიჭებს.

ბიჭებმა 18 ჯილდო მოიპოვეს – 3 ოქრო, 5 ვერცხლი და 10 ბრინჯაო, გოგონების ანგარიშზე კი 6 მედალია – 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაოა.

ანტალიაში ჩემპიონები გახდნენ: **ეთერ ლიპარტელიანი** (57), **სალომე მჭედლიშვილი** (70), **სოფო სომხიშვილი** (+70), **თორნიკე გვიჭიანი** (73), **გიორგი ჩიქოვანი** (90) და **ამირან წიქორიძე** (+90), მეორეზე გავიდნენ: **ნინო მგელაძე** (52), **გიორგი თუთაშვილი** (55), **ლევან გუგავა** (66), **ბაჩანა სარქისაშვილი** (73), **გოჩა ღვაჩლიანი** (81) და **ომარ საური** (90); მესამეზე კი – **ნატალია ყიფშიძე** (48), **მარიამ ჭანტურია** (63), **ლაშა ნადირაძე** (50), **ლაშა ბექაური** (60), **შალვა გაზაშვილი**, **ალეკო მამიაშვილი** (ორივე – 66), **გიორგი გელაშვილი**, **ტატო გრიგალაშვილი** (73), **მიხეილ ბექაური**, **ნოდარ ბერიაშვილი** (81), **ნიკა დონღვანი** და **ლევან ჭელიძე** (+90). ამასთან, კიდევ ხუთმა მონაწილემ ბრინჯაოსთვის იჭიდავა, მაგრამ დამარცხდნენ და მეხუთეზე დარჩნენ.

ბიჭებმაც და გოგონებმაც, თავიანთ ჯგუფში, გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში და, ცხადია, საქართველო საერთო გუნდურ ჩათვლაშიც ჩემპიონი გახდა. შედარებისთვის – მეორეზე გასული აზერბაიჯანის ანგარიშზე მხოლოდ 9 მედალია: 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. არადა, ჩვენი გუნდები ნამდვილად „სუფთა“ ასაკით ჭიდაობენ, აზერბაიჯანის და ზოგიერთი სხვა გუნდის შემადგენლობაში კი რამდენი გადაზრდილი იყო, ღმერთმა უწყის. თან, არანაკლებ აღსანიშნავია ჩვენი სპორტსმენების – როგორც ბიჭების, ასევე გოგონების ჭიდაობის მაღალი ხარისხი – თანამედროვე ძიუდოს ჭიდაობდნენ, ავლენდნენ ძალიან კარგ ფიზიკურ, ტექნიკურ თუ ტაქტიკურ მომზადებას და რაც მთავარია, ძალზე სანახაობრივად ირჯებოდნენ. ბიჭებში, 73 კილოგრამში, უაღრესად სასიამოვნო ფაქტი მოხდა – კვარცხლბეკის ოთხივე მონაწილე ქართველი იყო. კიდევ ორ წონაში – 66-სა და 81-ში – სამ-სამი მედალოსანი გვყავდა. ისიც საინტერესოა, რომ ბიჭები უმედლოდ არც ერთ წონაში არ დარჩენილან. რა გასაკვირია, ჩვენი გუნდების კარგი გამოსვლა ევროპული ფედერაციის საიტმაც თუ აღნიშნა.

ამ ტურნირს ორივე გუნდისთვის საევროპოდ შესარჩევი დანიშნულება ჰქონდა, თუმცა განსხვავებული ამოცანების გადაჭრა უწევდათ – გოგონებში კონკურენცია ჯერ კიდევ სუსტია და მწვრთნელებს არსებული კონტინგენტის მაღალ დონეზე მომზადება უწევთ, მათ ამორჩევის იმდენად დიდი საშუალება ჯერ კიდევ არ აქვთ, ბიჭებში კი ბევრად უფრო ვრცელი გეოგრაფია და ძლიერი კონკურენციაა. ანტალიაში საბოლოოდ გაირკვა ის ბირთვი, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის გააგრძელებს მზადებას, მომდევნო შეჯიბრებებში კი ეს სია კიდევ უფრო გაიცხრილება და საბოლოო სახეს მიიღებს.

ბიჭების წარმატება არ გვიკვირს და მათგან მედლებს ველოდით კიდეც, აი, გოგონებმა კი დაამტკიცეს, რომ მათაც სერიოზული გუნდი ეყოლებათ. ამ გუნდს, ბოლო წლებში, სერიოზული ლიდერები აკლდებიან, რადგან ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში დაკარგა ევროპის ჩემპიონები – შარშანწინ **მარიამ ჯანაშვილი**, შარშან კი **მზია ბებოშვილი** (ორივე – 52), რომლებიც ახალგაზრდებში გადავიდნენ. თუმცა, ისე ეტყობა, ამით ბევრი არც არაფერი აკლდება, რადგან ახალი ლიდერები ჩნდებიან, რაც მწვრთნელთა დამსახურებაა (ნაკრებისაც და პირადებისაც). მაგალითად, მწვრთნელები ხშირად ამბობდნენ, რომ მგელაძე ბებოშვილზე ნაკლები ტალანტი არაა – ეტყობა, ალღო არც ამჯერად ღალატობთ. ასევე ძალიან აქებენ მჭედლიშვილსა და სომხიშვილსაც, რომლებმაც სრულად

73 კგ წონით კატეგორიაში ოთხივე საპრიზო ადგილი ქართველებმა დაიკავეს

გაამართლეს ავანსები. სასიამოვნოა, რომ ისევ გაიბრწყინეს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩემპიონმა ლიპარტელიანმა, ბრინჯაოს მედალოსანმა ყიფშიძემ და ევროპის მესამე პრიზიორმა ჭანტურიამ. ანტალიაში მოპოვებული მედლებით მათ პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგეს ევროპის ჩემპიონატისკენ.

ვიდრე ჩვენი ნაკრები ანტალიაში ყველას აოცებდა, თბილისში უმცროსი ასაკის ჭაბუკი ძიუდოისტები, 2000-2001 წლებში დაბადებულები, საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებს არკვევდნენ. ესაა ე.წ. საფესტივალო ასაკი, რომლის წარმომადგენლებსაც, გაისად, უნგრულ დიორში მოუწევთ გამოსვლა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე. თავის დროზე, ეს ასაკი ქართულ სპორტში თბილისში შარშან გამართული ანალოგიური თამაშებისთვის შეიქმნა, თუმცა, საბედნიეროდ, დაფინანსება მისი დასრულების შემდეგაც გაგრძელდა, რაც ფასდაუდებელი სამსახურია მთლიანად ქართული სპორტისთვის. საკმარისია ითქვას, რომ სწორედ ამ ასაკის სპეციალურად დაფინანსების შემდეგ საქართველოში სპორტის მთელი რიგი სახეობები აღორძინდა – გოგონების ხელბურთი, ფრენბურთი და სხვ. ამ ასაკის ცალკე ტურნირები ბავშვთა სპორტის, უფრო შორეულ პერსპექტივაში კი მთლიანად ქართული სპორტის, საძირკვლად გვევლინება. ამით სატურნირო პრაქტიკას იღებს ათეულობით ბავშვი, რომლებიც ვერ ხვდებიან ჭაბუკთა ნაკრებში.

საქართველოს ჩემპიონატის მედალოსანთა შორის ამჯერად ისეთებიც მოხვდნენ, რომლებმაც ორიოდე კვირის წინ უფროსი ასაკის ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატში გამოიჩინეს თავი, განსაკუთრებით – გოგონებში. ზოგადად, ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა საქართველოში ქალთა ძიუდოს ნათელი მომავალი.

ბიჭებში ჩემპიონები გახდნენ: **ანზორ სიდამონიძე** (46), **ბექა წიფიანი** (50), **გიორგი კაპანაძე** (55), **გიორგი ჩიხელიძე** (60), **ოთარ პირველი** (66), **ვლადიმერ ახალკაცი** (73), **ლუკა რთველაძე** (81) და **ნოდარ კუთხაშვილი** (+81), გოგონებში – **სალომე გულისაშვილი** (36), **ელენე წიკლაური** (40), **სალომე ბლიაძე** (44), **ნატო ფოთელიძე** (48), **ლილე ხარანაული** (52), **ხატია შარაძე** (57), **ქეთევან ჩხაიძე** (63) და **მარიამ თეთრაძე** (+63).

ძალოსნები ჩემპიონებმა შეგვიქეს

თურქულ ბურსაში დამთავრდა ჭაბუკ ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები – 6-ვე მონაწილემ მედალი მოიპოვა. მათ შორის – ოქროსიც, რომელსაც 94 კილოგრამში **ირაკლი ჩხეიძე** დაეუფლა 322 კილოგრამით (142+180). გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მესამეზე გავიდა თურქეთისა და ბულგარეთის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ბულგარელებმა მხოლოდ მეტი მონაწილის ხარჯზე გაგვისწრეს.

ტურნირს ესწრებოდნენ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები – **ნაიმ სულეიმანოღლუ** და **ჰალილ მუთლუ**, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს, ზოგადად, ტურნირსაც და ჩვენი გუნდის გამოსვლასაც.

მოგება ტესტის ბოლოს

საქართველოს 20-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა დაამთავრა სამხრეთ ამერიკული ტურნე, რომლის ფარგლებში ოთხი მატჩი გამართა, ორ- ორჯერ არგენტინელ და ურუგვაელ თანატოლებთან. ამათგან ჩვენებმა მხოლოდ ერთი მოიგეს და ისიც ტურნეს ბოლო პაექრობაში ურუგვაელებთან. ისედაც, შედეგებსაც თუ გადავხედავთ, ჩვენებს უფრო არგენტინელებთან გაუჭირდათ, თუმცა ეს ლოგიკურიცაა, რადგან „პუმები“ ურუგვაიზე ბევრად ძლიერი გუნდია. „უმცროსი ბორჯღალოსნები“ მონტევიდეოში გაცილებით უფრო თანაბრად ეომნენ მასპინძლებს და აკი ერთ მოგებასაც გამორჩნენ.

პირველი შეხვედრა ჩვენებმა არგენტინაში გამართეს მასპინძელ თანატოლებთან და 17:36 დათმეს. მეორე მატჩი, ლამის, 40-გრადუსიან სიცხეში კიდევ უფრო დიდი ანგარიშით – 11:49 წააგეს. ამის შემდეგ „პატარა ბორჯღალოსნებმა“ ურუგვაიში გადაინაცვლეს და მასპინძლებს პირველ შეხვედრაში დიდი ომი გაუმართეს. ამ ორთაბრძოლის ბოლო წუთები ქულა-ქულაში წარიმართა და ჩვენებს ცოტა მეტი კონცენტრაცია რომ გამოეჩინათ, პირველ გამარჯვებასთან ბევრი არაფერი აშორებდათ – 19:21 წააგეს. არადა, შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთებზე ლელო დავდეთ, რომელიც გარდავსახეთ კიდეც და 7:0 დავწინაურდით. მე-20 წუთისთვის ჩვენებმა კიდევ ერთი ლელო მიითვალეს თავის გარდასახვიანად და 14:3 წინ გავიჭერით... სამწუხაროა, რომ უპირატესობა ბოლომდე ვერ შევინარჩუნეთ და ბოლო წუთებზე დაშვებული ტექნიკური ხარვეზების გამო წავაგეთ.

საბედნიეროდ, დაშვებული შეცდომები ბოლო შეხვედრაში გავითვალისწინეთ და 4 მარტს 22:11 მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენები 20-წლამდელთა მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან, რომელიც, 5-25 ივნისს, მანჩესტერში ჩატარდება. 7 ივნისს ახალ ზელანდიას ეთამაშებიან, 11-ში – უელსს, 15-ში კი – ირლანდიას.

გამარჯვებით დაიწყეს

8 მარტს, თბილისში, სპორტის ახალ სასახლეში, დაიწყო IHF/EHF თასის გათამაშება 19-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა შორის. ტურნირში წარმატებული სტარტი აიღეს ქართველმა გოგონებმა, რომლებმაც 8 მარტი ყველაზე უკეთ აღნიშნეს და სადებიუტო მატჩში კვიპროსი 33:10 დაამარცხეს. ქართველთა შორის საუკეთესო **ანა ყველაშვილი** იყო 7 გოლით. ჩვენი გუნდის მომდევნო მეტოქე ლატვიაა და სწორედ ამ შეხვედრაში გადაწყდება ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა, ნახევარფინალში გასვლა კი ჩვენებს არ უნდა გაუჭირდეთ. ტურნირი 13 მარტს დასრულდება.

ტურნირში 8 გუნდი მონაწილეობს: საქართველო, კვიპროსი, ბელგია, ფარერები, ლატვია, ესტონეთი, ალბანეთი და სომხეთი. ისინი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. საქართველო ჯგუფში მოხვდა ალბანეთთან, კვიპროსსა და ლატვიასთან ერთად. ნახევარფინალში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები გადიან, ჩემპიონი კი, გაისად, ინტერკონტინენტალურ თასზე იასპარეზებს.

ამ შეჯიბრებას ერთობლივად ატარებენ ხელბურთის ევროპული და მსოფლიოს ფედერაციები. თავდაპირველად მას ევროპული ფედერაცია მართავდა და განკუთვნილი იყო განვითარებადი ქვეყნებისთვის, „ჩელენჯ ტროფი“ ეწოდებოდა, რომელშიც ჩვენი ნაკრები სისტემატურად მონაწილეობდა. 2010 წლიდან ორგანიზებაში საერთაშორისო ფედერაცია ჩაერთო და სისტემაც უფრო დაიხვეწა: ჯერ ტარდება რეგიონული პირველობები ხუთ კონფედერაციაში: ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა და ოკეანია, გამარჯვებულები კი ინტერკონტინენტალურ შეჯიბრებაში ითამაშებენ.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



კუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა გავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.

თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებს.

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია

ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი, ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა, დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოხ-ბაუერის პორტრეტი, გუსტავ კლიმტი
4. მენინები, დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა, მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი, კლოდ მონე
7. უკლები შვილის დაბრუნება, რემბრანდტი
8. საძანელა, ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე, ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუი
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
ჯონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდი ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მოუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლიხტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ქართული ენის კრებულები

სერიის ფასი – 17.70₾

ერთიანული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40₾

წიგნის თარო

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!

კრებულის ფასი – 9.90₾

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ერთვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK